



# მწყმესი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
 მკვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
 მკვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 15—16

1883—1903

15—30 აგვისტო

## ზ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტარატურო განყოფილება:** სად უნდა ინახებოდნ ჩვენი წმიდა და შესანიშნავი საეკლესიო ნივთები. დეკ. დ. ლამბაზიძისა. — „უსირტხვილოს თუ არ არცხვენ; ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების“. დ. ლოსაბერიძე. — მწარე ფიქრები, სოფლის ხუცისა. — ახალი ორგანიზაცია საეკლესიო სკოლების მართვა გამგეობისა საქართველოს საეგზარხოლში. — იმპერატორ ნიკოლოზ I-ს მოგზაურობა საქართველოში. — სოფელი ურიათუბანი. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები. — გონების სალაროდან.

**სწავლა და მაცნეობა ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ჯნეობაზე:** — სიტყვა, დეკ. მ. ტყემა-ლაძისაგან თქმული. — განცხადებანი.

### სად უნდა ინახებოდნ ჩვენი წმიდა და შესანიშნავი საეკლესიო ნივთები?

დასასრული \*)

მართალია, ზოგიერთები ურჩევენ მონასტრებსა და ეკლესიებს შესანიშნავი ნივთების გადატანას თბილისის საეკლესიო მუზეუმში იმ აზრით,

რომ ეს ნივთები არ მოიპარონ და არ წარიტაცონ ავაზაკებმა; მაგრამ ეს მოსახრებაც უსაფუძვლო და უადგილოა. სწორეთ გასაკვირველია ამისთანა შიში! თუ ეს ნივთები შაჰბაზის, ლანგ-თემურის და სხვა სპარსელების და თათრების ჯართა შემოსევის დროს ინახებოდა მონასტრებსა და ეკლესიებში და ამ დროიდან დაცულნი არიან, რა უშავს დღეს, ამისთანა დამშვიდებულს დროს, როდესაც არც სპარსეთის, არც თათრების და არც ლეკების თავზედ დასხმის და დარბევის არ გვეშინია?

\*) იხ. „მწყემსი“ № 14.





მართალია, ზოგიერთი ჩვენი მონასტრებიდან წაღებულ იქმნა მონასტრის ძვირფასი ხატების კუთვნილება, მაგალითებრ: მარტვილისა და შემოქმედის მონასტრებისა, მაგრამ ეს ავაზაკებს კი არ მოუტაცნიათ. ეს ხატები ნატარიუსისაგან დაწერიდა დამოწმებული პირობებით ჰქონდათ მიცემული კაცებს, რომ გაეახლებინათ ივინი და მათი შეხედულებებისამებრ ნაცვლად ძველი „მედალიონებისა“ ახალი გაეკეთებინათ. იმათაც ახალი გაუკეთეს და ამნაირად ხატებიც განაახლეს... ეს ამბავი მოხდა 1885 წელში და მას აქეთ არაფერი არ მოხდარა. არც არაფერი მოხდება, თუ კანონი რიგინად იქნება აღსრულებული ყველასაგან. იქ კი, სადაც კანონის ასრულებას არავენ დაეძებს და თავის სურვილისამებრ იქცევა, იქ, სადაც არ სუფევს პატივი და კრძალვა საეკლესიო ნივთებისა და შესანიშნავი საისტორიო ნაშთებისადმი, იქ სადაც პირადი სარგებლობისათვის უარსა ჰყოფენ თავის ვინაობას, ისტორიას და თავიანთ საისტორიო ნაშთებს, არაფერს არ შეუძლია დაიცვას ეს ნივთები გინდ მუზეუმში შეინახონ და გინდ ციხეში. განა ცოტა ნივთები იპარება მუზეუმიდან?..

სუყველას თავი დავანებოთ, მაგრამ უმეტესად იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ იმ მონასტრებს და შესანიშნავ ეკლესიებს სრულებით აეხდებათ ის პატივი და დიდება, რომლითაც დღეს ისინი სარგებლობენ ამ ნივთების წყალობით და ხალხზედაც ძლიერ ცუდსა და უსიამოვნო შთაბეჭდილებას იქონიებს ეს ამბავი.

აგერ წინათ პეტერბურღში და მოსკოვში ორი საპატრო პირების სახლში გრაფინია უვაროვისამ ნახა ძვირფასი მედალიონები გურია-სამეგრელოსი ორი შესანიშნავი მონასტრების ხატებიდან აძრობილი და გაყიდული. ამაზე ერთი ალიაქოთი ააყენეს და მთელი საქართველოს სამღვდლოება გალანძღეს. მაგრამ სამღვდლოება ამ საქმეში სრულებით დამნაშავე არ იყო. ჩვენს სამღვდლოებას სწორეთ მიხაბლის და ურის არაკის საქმე დაემართა! სა—ინ გუ—მა მედალიონები გაჰყიდა და მღვდლებს დაუწყო ლანძღვა ქ—ნა უვა—ვისამ. რა შუაში იყო აქ სამღვდლოება? ს—ნ—გ—ს ოფიციალური პირობით გაურიგდნენ და გარდასცეს ორი მონასტრის ხატები გადასაკეთებლად. პირობით შეეკრენ, რომ თუ სასარგებლოდ დაინახავდა ბ. ს—ნ—გ—სი ნამდვილი მედალიონები თვითონ მოეხმარა და მათ ნაცვლად ხელოვნურად სხვა გაეკეთებინა. გასაკვირვებლად ს—ნ—გ—სი ჰპირდებოდა ხატების უფასოდ განახლებას. ორი მედალიონი ათას მანეთად

გაჰყიდა და რაღა ფასი უნდოდა კიდევ... გასაკვირვებელი იყო, რომ ამ პირობას აძლევდა არა სამღვდლოება, ან მონასტრის წინამძღვრები, არამედ ისეთი ერის კაცი, რომელიც მართებლობისაგან დანიშნული იყო თვალ-ყურის მგდებლად, რომ კანონი არავენ დაარღვიოს საქართველოშიო... დიად, ნივთები დაიკარგენ რამდენიმე, მაგრამ სპარსელებისა, თათრებისა და ლეკებისაგან კი არა, არამედ სულ სხვათაგან. ერთად შეგროვება ამ ნივთებისა უმეტესად საშიშოა, ჩვენის აზრით, ვინემ მათი დატოვება თავ-თავის ადგილებზე... მართალია, დღეს დღეობით, კიდევ მოიპოვებინ ჩვენში ორიოდვე სვინდისიანი პირები, რომელთაც შეიძლება ენდოს საზოგადოება ზე შიში არ ექმნეს საზოგადოთ მათ ხელში ამ ძვირფას ნივთთა დაკარგვისა, მაგრამ გარანტია ამ ნივთების საუკუნოდ დაცვისა ზე დარჩენისა საზოგადოებას არა უჩანს რა. ჩვენი დრო ძლიერ საშიშოა დროა. შენ რომ კაცს შენიანად უყურებ ცოტა ხნის შემდეგ შენიანი კი არა ლეკზე და სპარსელზე უარესი ხდება ხოლმე. ამისათვის, ჩვენის აზრით, სანამ უმაღლესი მმართველობისაგან არ იქნება დაკანონებული წესდება ძვირფასი ნივთების დასაცველად და მუზეუმის შესანახავად და სამმართველად ჯამაგირი არ იქნება დანიშნული მანობამდისინ არც ერთი ადგილი ძველი ნივთების შესანახავად ჩვენ საიმედოდ არ მიგვაჩნია.

ზოგიერთი პირების აზრი, რომ ჩვენი ძვირფასი ნაშთები სემინარიაში მოათავსონ და სემინარიის მმართველობას ჩაბარდეს, ჩვენის აზრით, ყოვლად მოუხერხებელია. ის რაც არსად არ მოხერხებულა მთელს სახელმწიფოში, ჩვენის აზრით, არც ჩვენში მოხდება...

რაიცა შეეხება მას, რომ სიონის ტაძრის ეზოში ადგილი არ არის მუზეუმის განამართავად, ამაზე სინოდისაგანაც მრავალ გზის იყო თავის დროზე მოწერილი და მრავალ გზის ურჩევდენ განსვენებულ ექსარხოსს, მთავარ ეპისკოპოს პავლეს, რომ სიონის ტაძარში ადგილი არ არისო, მაგრამ აქედამ უმტკიცებდენ, რომ დიდი ეზო აქვს სიონის ტაძარსო! ან ვინ გაუსწორებდა, რადგან მას ისეთი უფლება ჰქონდა, რომ რასაც ისურვებდა იმას კიდევ ასრულებდა ხოლმე სხვათა დაუკითხავად... სწორეთ სხვათა დაუკითხაობა არის მიზეზი რომ ერთისაგან მოწონებული და აღშენებული მეორისაგან მთლად ინგრევა და ერთისაგან სასარგებლოთ ცნობილი მეორისაგან მანებლად აღიარებულია...

დ. კ. ჯ. ჯამაშაძე.



უსიწმინდესი თუ არ სწმინდესი;  
ბაძით შორსვიც გაურცხვადის.

დ. გურამიშვილი.

ძლიერ დავეციოთ, ძლიერ დავკვივითლით ზნეობრივად, ისე დაშორებულნი ვართ ქრისტიანთა და მის მოძღვრებას, რომ არათუ მართლმადიდებელი ქრისტიანის, უბრალო ქრისტიანის სახელის ტარების ღირსიც არა ვართ. ჩვენ ვხდით ჩვენ თავს პირველ მართლმორწმუნეთ, ქვეშაირთ ქრისტიანად, თითქმის ზიზღით შევეყურებთ სხვა ქრისტიანეთა და სხვა სარწმუნოების აღმარსულებელ ხალხთა: ასეთნი იყვნენ ძველ დროში ებრაელები: ისინი ამჟამად აღმარსულებელ ხალხთაგან შთამამავლობით და ყოველ პიროვნულ ღვაწლსა და კეთილ საქმეს გარეშეთ თვლიდნენ თავიანთ თავს ღვთის მოწყალეების ღირსად. ერთი მათი შეხედულება მრავალგზის ამხილა თვისი სწავლა-მოძღვრებით უფალმა ჩვენმა ი. ქრისტემ. ჩვენც ვამაყობთ ქრისტიანის წოდებით და ჩვენს თავს ვსთვლით მართლმადიდებლებად. ვამაყობთ მითი, რომ გვწამს სამპიროვანი ღმერთი; ძე ღმერთი საუკუნეთაგან მამისაგან გამომავალად. ფიქრობთ კმარა სიმელო სარწმუნოებაში გამოხატული სწავლათა მართლმადიდებლობის, ვკამაყოფილდებით იმით, რომ ჩვენ დედ-მამისაგან სიკოხლესთან ერთად მივიღეთ წოდება მართლმადიდებელი ქრისტიანისა, არ ვცდილობთ-კი საქმით დავამტკიცოთ ყოველივე ეს, გავიწყდება, რომ „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს“. და «ხე ნაყოფისაგან იცნობის»: ქვეშაირთი სარწმუნოება მოითხოვს ჩვენგან საქმეს, — მოქმედებით დამტკიცებას ჩვენი რწმენისას. გარნა სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენ სრული წინააღმდეგი ვართ ქრისტიანობისა: ნაცვლად სიყვარულისა — სიძულვილი და შური, ნაცვლად ერთობისა — უთანხმოება, ქვრივთა-ობოლთა მოწყალეებისაწილ — მათი შევიწროება-დაწიოკება; მხოლოდ (გარეგანად) პიჯგრის წერით, (რომლის ჯეროვანად გამოხატვასაც ვერ ახერხებთ ბევრი სასიროცხოდ), თუ გვიცნობს ვინმე ქრისტიანეთ, თორემ სხვა არაფერი არ გამოაჩინებს ჩვენში ნამდვილ ქრისტიანობას, ნამდვილს აღმარსულებელს იმ სწავლა-მეცნიერებისას, რაიც ზეცით მოვლენილმა მაცხოვარმა გვამცნო ჩვენდა საკეთილდღეოდ. ამ ნაირად ყოველ ფეხის გადადგმით ჩვენ ვემსგავსებით ქრისტეს ღვთის ებრაელებს,

რომელნიც გაიძახოდნენ „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე“. მაგრამ დავანებოთ თავი ყოველივე ჩვენი ქცევა-მოქმედების კვლევა-ძიებას და ყურადღება მივქციოდ მხოლოდ ერთ მხარეს, სახელდობრ ეკლესიებში კვირა-უქმე დღეებზე დროების გატარებას. ყოველისა მპყრობელმან და ცისა და ქვეყნის შემოქმედმან ექვსი დღე კვირაში ჩვენ დაგვისაკუთრა, რომ მოვიხმაროთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა, მხოლოდ ერთი დღე მეშვიდე დანიშნა მისთვის, რათა შეესწავიოთ ზრუნვა სხეულზედ, მიწიერზედ, აღვავლინოთ გრძობა-გონება ცად საქმე-სადიდებელად შემოქმედისა. და ამისთვის ჩვენ ქრისტიანებს გვაქვს საყდარი, შესაკრებელი მორწმუნეთა, სახელი, სადაც უხილავად სუფევს შემოქმედი ჩვენი. და აი აქ უნდა მივივლტოდეთ კვირა უქმე დღეებზე, აი აქ უნდა ვიდგეთ, ვისმენდეთ ღვთის-მსახურებას გულს მოდგინეთ და ვლოცულობდეთ. ჩვენ-კი (მე ვგულისხმობ უმეტესობას) ხშირად საყდარში არ დავიარებთ და როცა მივალთ ვაი მისთანა მისვლას! იმ დროს, როცა მღვდელთ-მსახურნი და მგალობელნი აგონებენ „ქერუბიმთა საიდუმლოდ მიმსგავსებას და „ყოველივე მსოფლიო ზრუნვის დატოვებას, ჩვენი ფიქრი და გონება არა ცათამდის აღიმართების, არა თვისთა ცოდვათა შემსუბუქებას ვითხოვთ უფლისაგან, არამედ გატაცებულნი ვართ ერთმანეთის ცქერა-დაკვირვებით, ჩაცმა-კაზმულობის დაფასებით, ლანძღვა-კიცხვით მათდა, ვინც უკანასკნელ „მოდაზე“ და ყოველ თვესა ღ კვირაში არ იცვლის ახალ-ახალ ტანისამოს. ქალნი კაცთ მიჩერებიან ვნებათა დღეებით გატაცებულნი და კაცნი ქალთ. არ სჯერდებიან მართლმადიდებლის იერიშს, ხშირად ენა-ბაგესაც აღძრვენ სხვა-და-სხვა არა ქრისტიანულ აზრთა და მოქმედებათა გამოსახატავად. ამის გამო ისეთი აურზაური არის ხოლმე ჩვენ ეკლესიებში (ქალაქად), რომ გვეგონებათ, სადღაც სავაჭრო მოედანზე მოუყრია ხალხს თავი და ხმაურობსო, არ ისმის და ბევრს არც სურს გაიგონოს და ვისაც სურს მღვდელმოქმედების გაგონება იმათაც ხელს უშლიან ესენი. ისე გათავდება წირვა-ლოცვა, რომ ვერ გეზულდობენ და ერთმანეთს ეკითხებიან გათავდა თუ არაო, რომ ჰკითხოთ ვერ იტყვიან რა სახარება წაიკითხეს, რა იქადაგეს, ვერაფერ სულის საზრდოს ისინი იქიდგან ვერ გამოიტანებენ, ისე გულცივად და დაუდევრად იქცევიან ტაძარში, ამ ღვთის სახლ-



ში, ხოლო რაც შეეხება ვინმეს აწერას, თვალ-ტანადობას, ჩაცმა-დახურვას, ამას ისინი უნაკლულად მოგიყვებიან. ასეთი ამბები ხდება ყოველგან სოფლადაც და ქალაქად ხომ მეტის მეტია. აქ ყოველ ამბანის მკოდნეს დიდ რამეთ მიაჩნია თავი და თავისი განათლება უნდა დაამტკიცოს ყოველივე წმიდათა-წმიდის უარყოფით, იმის კიცხვა-დაცინვით, რითაც ამაცობდნენ წვენი წინაპარნი და რამაც აქამდის შეარჩინა სული მრავალ ტანჯულ ჩვენს სამშობლოს. ამისთანებისთვის რა არის საყდარი, რა არის მღვდელი, სახარება და სხვა? საყდარს ისინი უყურებენ, როგორც ერთ რამე დროს გასატარებელს ადგილს. „საყდარში ისე რა შემოიყვანს თუ კაი ქალები არ მეგულვება შიგაო“, გამიგონია ხოლმე ზოგიერთ ვითომდა ინტელიგენტთაგან. ზოგი მიტომ უფრო დაიარება, რომ თავისი მორთულობა, სამ არშინიანი არწივის ბუდე — შლიაპები და ხუთ-ექვს თუმნიანი კაბები გამოამზეონ, თავი მოაწონ ყველას, ავიწყდებათ-კი, რომ ეს მორთულობა მათი პატრონის ოფლის წურვით და სისხლის დენით არის მოპოვებული, როდესაც ისინი პარპაშობენ ძვირფასად მორთულები, იმათი ქმრები, დედ-მამა სასოწარკვეთილებში არიან ჩავარდნილი იმ უზომო ხარჯისაგამო, რაიც კისერზედ აწევთ მათ თავიანთ უგნურ ცოლთა და შვილთაგან. სხვას ჰკლავთ ღ თქვენ-კი ხარობთ. ეს არის ქრისტიანობა? დიახ, დავდივართ ეკლესიაში რუსები, რომ იტყვიან ОТЪ НЫЧЕГО ДѢЛАТЬ, არა სულის საცხოვნებელად. ასე ვიქცევით ყოველთვის, იმ დროსაც-კი, როცა წმ. ეკლესია დაჟინებით გვაგონებს ცოდვების შენანებას, ცოდვის ძილისაგან გამოფხიზლებას, და ხორციელ ცუდ მიდრეკილებათა დათრგუნვას (დიდ მარხვაში) და ვნების კვირაშიაც, როცა ყოველი ქრისტიანი ღმობიერებით, სიყვარულით და მასთან ცრემლთა დენით უნდა იყოს გამსჭვალული ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს ჭნებათა მოგონებით. მაშინაც იგივე მოქმედება, ჩურჩული, ღმეჭა-სიცილი და სხ. ამისთანები. აქვე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ბევრი ამ დროს საყდარში სულაც არ მიდის, მას არ სცალია, ის დიდიდგან საღამომდის ბაზარში დაწანწალობს, არჩევს კაი-კაი ბატკან-გოჭებს, დედლებს და ინდოურებს, და სხვა ამისთანებს, რითაც უნდა მოიწონოს თავი ბრწყინვალე ქრისტეს დღესასწაულებზე. ერთხელაც არ დაფიქრდება მასზედ, შე-

ფერის ასეთი მისი საქციელი წმიდა დღესასწაულების დანიშნულებას თუ არა, ღვთის სასიამოვნოა ეს, თუ საწყენი. როცა ზეთის ცხება, ბზის დარიგება, წყლის კურთხევა და ან ზიარებაა, მაშინ ისეთი მიწვე-მოწვევა, ხმაურობა-კიჟინი შეიქნება, რომ რაღა მოგახსენოთ, ყველას უნდა სხვაზე აღრე იცხოს ზეთი, მიიღოს ბზა და ეზიაროს. ყველა წინ მიექაჩება, არ დააგლიან ერთმანეთს რიგ-რიგობით მისვლას და ეხლებიან ერთმანერთს და ჯიკაობენ. ამ მოვლენას ჩვენ ეკლესიებში ყველა დამიმოწმებს. მე დამსწრე ვარ და გამგონი იმისი, რომ როგორი გულ ნაკლული და გულ-მტკივნეული გამოდიოდნენ საყდრიდან ასეთ დროში ბევრნი, ხანში შესული ადამიანები ამ გვარი არა ქრისტიანული საქციელით და წყევლა კრულვით იხსენიებდნენ წესიერების დამრღვევთ.

როდემდის უნდა უყუროთ ასეთ შემთხვევებს, როდემდის უნდა ვითმინოთ ასეთი შეურაცხება სარწმუნოებისა და ცხოვრების მომცემელის და სიმატლის წყაროსა ქრისტესი? დროა გამოფხიზლდეთ და ვიცნათ საყდარი საყდრად და დუქანი დუქნად. სირცხვილი არ არის რომ ყველა სხვა რჯულის და სარწმუნოების ხალხი მტკიცედ ასრულებდეს თავის სჯულსა და კანონს და ჩვენ-კი, რომელნიც მოპოვებულნი ვართ ქრისტეს სისხლით უკან ჩამორჩენილად ვიყოთ ამ მხრით! დეე გვაშფოთებდეს უწესო საქციელი ჩვენთა თანამათა და მეზობელთა და ვსცილობდეთ მათ შეკდემებას, გასწორებას. მღვდელთ მსახურნო, მარილნო სოფლისანო! ნუთუ თქვენ არაფერი საშვალება მოგეპოვებათ ასალაგმავად შემოხსენებულ უზნეო და უყოფაქო პირთა? ნუთუ გული არ გტკივათ, ხედავთ-რა, ცხოვართა თქვენთა გზა დაბნეულობას, რომ თქვენ წირვა-ლოცვას ყურს არ უგდებენ? ნუთუ შეიძლება გულგრილად ყურება ასეთი უწესოებისა ღვთის სახლში, როდესაც რომ სხვაგან, სხვა შეკრებილებში უსათუოდ არიან წესიერების დამცველნი და მათი შიშ-მორიდებით ვერაფერს ბედავენ. მაშ რათ აღშფოთდა იესო ტკბილი და მშვიდობის მქადაგებელი, ოდეს იხილა ტაძარში მოვაჭრენი და შოლტის ცემით განდევნა იგინი, თუკი შესაძლო და მოსათმენი იყოს ამგვარი ქცევა-მოქმედება?

„თუ ღირსიუფალი არ ტირის, მოტირალს რა ატირებსო“, თუკი თქვენ მწყემსნი ღვთის სახლში



მლოცავ-მსახურნი, რომელთა მოვალეობას შეადგენს დაცვა, შენახვა სარწმუნოებისა და კეთილ მსახურებისა და ამის განმტკიცება თქვენდამი რწმუნებულ სამწყსოსადმი, არ აღშფოთდებით, ყოველივე უწყისოებისა გამო საყდრებში, არ შეაგონებთ და არ შერისხავთ წესიერების დამრღვევთ, რათა „სახლი ღვთისა, არ იქმნას სახლად სავაჭროდ“, არ ამცნებთ მათ ასეთ ღვთის განმარისხებელ მოქმედებათა შედეგებს, რას დაეძებს ზოგიერთი ახალ ცრუ მოძღვრები — ყოველივეს უარყოფით, გაქდნითილი ვაჟბატონ-ქალბატონები, რომელთაც მხოლოდ რომანები სწამთ და მათ გმირებს ეთაყვანებიან? „თუ უსირცხვილოს არ ვარცხვენთ, ბაძით მორხვიც ვარცხდების“ და თან-და-თან უფრო წახდება საქმე, თუ ყოველივე ღონე არ იღონეთ ამის გასასწორებლად. ეს თქვენთვის ადვილია, სულიერნი მამანო, ვინაიდან გაქვთ იურიდიული და ზნეობრივი უფლება დასაჯოთ წესიერების დამრღვევი. ჩემის ფიქრით დასასჯელ საშეაღებათა მიმართუა იშვიათად დაგჭირდებთ, თუკი თქვენ განუმარტავთ, აუხსნით და მამობრივის სიყვარულით სთხოვთ ყველას დაიცვან წესიერება წმიდა ადგილებში. შეგიძლიათ ხალხს შეაგონოთ, რომ მან თვითონ აირჩიოს წესიერების დამცველი ოთხ-ხუთი კეთილ-მსახურნი პირნი ქალნი და კაცნი და ამათ დაევალოს თვალყურის დევნება მლოცავთა ყოფა-ქცევაზე საყდარში, იმათ უნდა მიეცეთ ნება წინადადება მისცენ წესიერების დამრღვევს ან გაჩუმების და ან კარში გასვლის, რომ სხვას არ უშლიდენ ხელს. შეიძლება ამან პირველში გამოიწვიოს რაიმე უკმაყოფილება ზოგიერთ პირებისაგან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მიეწვევიან და შეურიგდებიან ასეთ წეს-წყობილებას და ამისათვის ამან არ უნდა შეგაშინოთ. თქვენ ერიდებით ვისმე მომაკვდავთა წყენას, მაგრამ ამით ზომ უკვდავებისა წყაროს — ღმერთს აწყენინებთ და არისხებთ?

ამასთან ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ხშირად მლოცველთა წესიერების დაცვა-დაუცველობა დამოკიდებულია იმაზედ თუ როგორ სრულდება მღვდელთმსახურება — წირვა-ლოცვა: თუ არის სასიამოვნო გალობა, კითხულობს გარკვევით და აუჩქარებლად შედავითნე, ასამაღლებელს ამბობს და სახარებას კითხულობს მღვდელი კარგათ, გრძნობიერად, მლოცველნიცა ძალა-უნებურათ ემონებიან ამ ძალას და სმენად არიან გადაქცეულნი. და თუ ყოველივე ეს

სწარმოებს უსიცოცხლოდ, თუთიყუშური ლულულით, მიძინებულის კილოთი, მაშინ მლოცველნიც ძილს ეძლევიან და რომ სრულიად არ დაეძინოსთ, ერთი-ერთმანეთს ემუსაიფებიან. მართლაც რა მნიშვნელობა აქვს გაუგებრად, (როგორც შეშინებულის ლოცვა იციან დედაბრებმა) კითხვას?

საღმრთო წერილი იპყრობს ღრმა აზრთა, კეთილ დარიგებათა და მცნებათა, რომელნიც გამოსადგენი არიან აქ ამ წუთისოფელში და იქ — საუკუნო ცხოვრებაში და ამისათვის ყოველი სიტყვა, ყოველი აზრი მკაფიოთ, უნდა იქმნეს წაკითხული — ნათქვამი და შეძლებისა და გვარად განმარტებული — ახსნილი, რომ ყოველთა შეეძლოთ გაგება-შეთვისება მისი, რაც წაკითხული, ან ნათქვამი იქნება ეკლესიაში. თუკი სკოლაშია საქირო ახსნა-განმარტება მისი, რაც ეძლევა დასასწავლად ყრმათა, არ ვტოვებთ განუმარტებლად, არც ცხოველების. არც ფრინველებთ და მწერებთ — ცხოვრებას, მით უმეტეს საქირო არ არის უმთავრეს ზნეობრივ სკოლაში — საყდარში, ახსნა-განმარტება საღმრთო წერილის ღრმა აზრთა და ძვირფას საუნჯეთა? ამისათვის სჯობია უბრალო სიტყვების წარმოთქმას ქადაგებაში, (რომელნიც ძლიერ იშვიათად წარმოითქმის თქვენგან) თავი დაანებოთ და მდაბიურად მოყვეთ წირვა-ლოცვის და მასში საქირო მოქმედებათა აზრის და დანიშნულების აღხსნას.

დ. ლასაბერაძე

**მწარე ფიქრები.**

(გაგრძელება \*)

იყო დრო როცა ქალაქებში ერთი-ორი ექიმის მეტი არ ყოფილა. მაზრის ქალაქებ-დაბებში და მთელ მაზრის სოფლებში ერთი ექიმი ძლივს იპოვებოდა. ბებია ქალები-კი დიდ ქალაქებში თუ იყო, თორემ მაზრებში იშვიათად მოინახებოდა. ამნაირ მდგომარეობაში იყო ხალხი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანებამდისინ. ხალხიც რაღაცა დიდათ არ

\*) იხ. „მწეჟისა“ № 13, 1903 წ.



ერწმუნებოდა ექიმობას და უფრო სოფლიურ მატყურა ექიმებს მიაშურებდა ხოლმე. თუ სწეული მათი ექიმობით სარგებლობას ვერ შენიშნავდა მაშინ ავადმყოფის გარდაცვალებას ღვთის განგებას მიაწერდა და ამით გულს იმშვიდებდა. წამლის მავნებლობაზე ვერაფერს კრინტს ვერ დასძრავდა, რადგან მომზადებულ წამლის ერთ სტაქანს სოფლის მატყურა ექიმები ავადმყოფისაგან გამოგზავნილ კაცის წინაშე გადაკრავდა... ღ ამით დაარწმუნებდა, რომ აქ მანვე წამალი არა არის რაო...

ბოლო დროს ხალხმა შესცვალა თავისი აზრი ექიმებზე, როცა დაარწმუნდა, რომ ექიმობის მეცნიერებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ავადმყოფებისათვის. ექიმობის მეცნიერებამ მიიწვი თავი ისახელა პასტერის გამოკვლევის შემდეგ. პასტერის, ხიმის და მიკროსკოპის წყალობით შეიტყვეს მრავალ ავადმყოფობათა მიზეზები და ამით ექიმობის მეცნიერებამ დიდი შემწეობა აღმოუჩინა სწეულთ ღ მასთან გული აუცრუა ხალხის მრავალ ნაწილს სოფლის მატყურა ექიმებზე; დაიწყო შესაფერად მათი შრომის დაჯილდოება.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ექიმებს, რომელთაც ხალხს შეაგონეს ნამდვილი აზრი ექიმობაზე და გააქარწყლეს შემცდარი აზრი სოფლის მატყურა ექიმებზე. დიდი პატივის ცემის ღირსნი არიან ყველა ის ექიმები, რომელნიც უმტკიცებდნენ და უმტკიცებენ ხალხს, რომ ექიმობის დროს ისინი ხელმძღვანელობენ გუმანიური აზრებით და თავიანთი სწავლით უმტკიცებენ ყველას, რომ კაცთმოყვარეობა, გაქვირებულთ დახმარება და საცოდავ ტანჯულ ავადმყოფთ შემწეობა აქვთ სახეში და არა გამდიდრება და ფულის მოხვეჭა. საზოგადოება დღემდის ძლიერ კარგის თვლით უყურებდა ექიმებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ წოდებაშიაც იჩინა თავა ეხლანდელ დროის ფარისევლობამ. როცა გესმის ზოგიერთი ექიმების (სოფლის მატყურასი კი არა, არამედ დიპლომიანებისა) საქციელი, მათი ხერხი და ის ზომები, რომელსაც იგინი ხმარობენ ფულების შოვისათვის არ დაიჯერებთ და ვერ წარმოიდგენთ რომ ამისთანა საქციელს ჩაიდენს ნასწავლი კაცი.

ჩვენ არ გვიკვირს დღევანდელი ზოგიერთი ექიმების სამარცხვინო საქციელი. კაცი მართალია გვირგვინია ქვეყნის ქმნილებათა ვიდრემდის

მას ექნება და შერჩება მსგავსება ღვთისა. როდესაც მას დაეკარგება კაცთმოყვარეობა, ძმათ მოყვარება, ეს უდიდესი ყოველისფერზე, მაშინ მისგან ნულარ მოელი სიკეთეს; მაშინ კაცი—გვირგვინი და ანგელოზი ამა ქვეყნისა ეშმაკად გადაიქცევა და ყველა მხეცზე უსაძაგლესი და მანვე ცხოველი შეიქნება. ასეთია კაცის ბუნება და ყველა ექვით უნდა უყურებდეს ყოველ კაცს, ექიმი იქნება იგი თუ სხვა მოხელე, ვიდრემდის ის არ დაარწმუნდება ნამდვილად მის კეთილ თვისებაზე...

მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველთა გული სხვა ხალხთა კაცის გულს როდი გავს. ქართველ კაცს, რომ ადვილად დააჯერებ ისე სხვა თემის ხალხის დაჯერება არ შეიძლება. ჩვენი ხალხის ამ სუსტი ხასიათით და გულუბრყვილობით სარგებლობენ მრავალნი. ზოგიერთებს განუზრახავსთ, რომ უთუოდ უნდა გამდიდრდნენ და ამ სიმდიდრის შექმნისათვის ყოველ სამარცხვინო საშუალებას ხმარობენ. სინიღისი და პატიოსანი კაცობრიული გრძობა სხვა ნაირად გარდქმნიათ და ყოველივე სიმდიდრის მოხვეჭისათვის დაუმონებიათ. ერთი ათი ათას მანეთს რომ შეაგროვებენ იწყებენ მეორე ათი ათასი მანეთის შეგროვებას და არ შეისვენებენ სანემ ამ მეორე ათი ათასაც არ მიუმატებენ. გადასცილდება თუ არა ორმოცდა ათი ათას მანეთს ეს ფულების ხვავი, მერმე მაცადინობენ ასი ათასი მანეთის შეგროვებას!.. კაცის გული, ხომ მოგეხსენებათ, გაუმძღარი და არ გაძლება სანამ მიწას არ დააყრიან, მხოლოდ მაშინ მოესპობათ ეს საზიზღარი გამდიდრების სურვილი ამ ვაჟბატონებს!..

ოთხი ხუთი წლის წინად ქუთაისის ერთი ექიმი იკვებოდა: ჩემი სახლი გადავაკეთე და დიდი ფული დამეხარჯაო. წარმოიდგინეთ არც ერთი მანეთი არ მომიკლია წინეთ შეგროვილი ფულისათვისო. რასაც ვხარჯავდი ყოველ დღეს შემოსული ფულები დამო და ძველს ფულებს ერთ გროშს არ ვაკლებდიო!..

დღეს მაგალითებრ ოცი თუმანი უნდა დახარჯოს. როგორ შემოუვა ექიმს ერთ დღეს ოცი თუმანი თუ იგი პატიოსანის გზით აიღებს საშრომს. მაგრამ ეს ექიმი სახელ განთქმულია ქუთაისში მით, რომ ერთ საათში 50—100 ავადმყოფს გასინჯავს და რეცეპტს უწერსო. აქ ცხადია ხალხის მოტყუება. ათი სწეული რომ გაშინჯოს დღეში ექიმმა



კმარა, ოცზე მეტი მინც აღარ შეიძლება და თუ 50 კაპ. ახდევინებს შედგება ერთი თუმანი და საიდან შეიძლება ასი და ორასი მანეთის აღება? ხალხი ხშირად სცდება. ასე სცდება ამ ერთ ექიმისაგანაც ქუთაისში ხალხი, მათ კარგი გონიათ თუ ბევრი რეცეპტი დასწერა და ბევრი ავთამყოფი გასინჯა. ჯერჯერობით თავს ვანებებთ ამ ჯანილოს ექიმის ჯამბაზობის გამოაშკარავებას...

კურთხეულ ქუთაისში არის მეორე ექიმი, რომელიც სამარცხვინო საქციელს ჩადის ხალხის მისატყუებლად. გაზეთებში გამოგვაყრუა მისმა განცხადებებმა, რომ იგი გადავიდა თავის საკუთარს სახლებშიო. ქუთაისის ისეთი პატარა ქალაქია, რომ იმავე დღეს ტყობილობენ როცა ერთი ბინიდან მეორე ბინაზე გადადიან და ვისთვის არის საჭირო ეს განცხადება არ ვიცით! ერთ ექიმს უყვოდა საექიმო იარაღები და საბებიო და გამოუფენია სახლში. ეს იარაღები ისეა გამოფენილი, რომ ავთამყოფების ყურადღებას იპყრობს და ამნაირად ატყუებს ხალხს ვითომც იგი არა თუ ექიმი მარტო, არამედ დოქტორიც... ხანდის-ხან საბებიო იარაღებს აიღებს და ბეჭებზე დაადებს თურმე ავთამყოფებს და ყურს დაადებს, რომ შეიტყოს გულისა და სისხლის მოძრაობა, როდესაც ეს იარაღი სულ სხვა არის და სხვა დანიშნულება აქვს!.. აი სადამდის მიიყვანს ზოგიერთ ექიმს ფულის სიხარბე... მესამე ექიმი კი სულ სხვა ჯამბაზობას ჩადის. ეს შორეული ქვეყნიდან მოსულა. თავის ქვეყანაში თურმე ერთი ავთამყოფი არ მივა მასთან თვეში, ისე სახელ გატეხილი ყოფილა, მაგრამ ჩვენში ჯანილოს ექიმად გამოაფხადეს. ამ ექიმს მოუტანია ფიზიოლოგიური და ანატომიური კაცის ტანის სურათები. როცა გასინჯავს სნეულს მერე აჩვენებს სურათს და ეუბნება: აი ეს გტკივა და თუ არ მოიჩინე თავი ცუდათ მოგივა საქმეო. კაცი როცა ხედავს პატალოგიურ სურათს თავის სნეულებისას თითქმის გაოცდება. დაპირდება მორჩენას და ორი კვირა ან ერთი თვე კარგ ლუკმას შოობს და სნეულს მორჩენის ჯავრი არა აქვს. მეორეზე კი ვეღარ მოატყუებს მაგრამ პირველად მოტყუებულთა რიცხვი მეტის-მეტად ბევრია. ერთია ჩვენთვის გაუგებელი: რატომ ექიმების საზოგადოება არ შეცადინობს, რომ განკიცხონ ცუდი საქციელისათვის თავიანთი ამხანაგი, რომ ამითი სახელი აღუდგინონ თავის წოდებას და განაძეონ თავის ამხანაგობიდან უპატიოსნოდ მომქცევი?..

სოფლის ხუცესი.



## ახალი ორგანიზაცია საეკლესიო სკოლების მართვა-გამგეობისა საქართველოს საეგზარხო-სოში.

სახელმწიფო საბჭომ განიხილა უწმ. სინოდის ობერ პროკურორის მიერ წარდგენილი მოხსენება საქართველოს საეგზარხო-სოში საეკლესიო სკოლების მართვა-გამგეობის შესახებ დაადგინა:

I. სათანადო კანონთა შესაცვლელად და სამატებლად დაწესდეს:

1. საეკლესიო სკოლები საქართველოს საეგზარხო-სოში ექვემდებარებიან საქართველოს ეგზარხო-სოს, რომელიც ამ სკოლებს განაგებს საოლქო სასწავლებელთა საბჭოს მეოხებით; ადგილობრივი-კი, თვითეულ ეპარქიაში ცალკე, სკოლების მართვა-გამგეობა ევალებათ ეპისკოპოსებს, იმათ ხელქვეით მყოფ საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოებს და ამ საბჭოების სამაზრო განყოფილებებს.

2. საოლქო სასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარეობს ერთ-ერთი ქორ-ეპისკოპოსი, რომელსაც ეგზარხო-სი ირჩევს, ხოლო უწმ. სინოდი ამტკიცებს. საბჭო უნდადგება: მთავარ-მართველის მიერ დანიშნულ წევრისა, ტფილისის გუბერნატორისა, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორისა, საეგზარხო-სოს სკოლების საოლქო ზედამხედველისა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ დანიშნულ წევრისა და ცხრა მუდმივ წევრისაგან. ამ ცხრა წევრს, სასულიერო და საერო წოდების კაცებს, ირჩევს და ამტკიცებს საქართველოს ეგზარხო-სი. სხვა გუბერნიებისა და ოლქის უფროსებს შეუძლიანთ საოლქო საბჭოს სხდომებზე მონაწილეობა მიიღონ: ამათ ეძლევათ ხმის უფლებაც.

3. საოლქო სასწავლებელთა საბჭოს მუდმივ წევრთა თანამდებობაზე შეიძლება ისინიც დაინიშნონ, ვისაც შესაფერი ჩინი არა აქვთ, აგრეთვე ისეთნი, რომელთაც ამავე დროს მართლ-მადიდებელ სარწმუნოების უწყებაში სხვა თანამდებობაც უჭირავს.

4. წევრების დანიშვნა იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო საბჭოს წევრნი მონაწილეობას ვერ მიიღებენ საბჭოს კრებაზე, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელსაც შეადგენს საქართველოს ეგზარხო-სო კა-

ვკასიის მთავარმართებელთანა და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან შეთანხმებით. ამ ინსტრუქციას უწმ. სინოდი ამტკიცებს. გუბერნიებისა და ოლქების უფროსებს შეუძლიანთ საბჭოს კრებებზე თავიანთ ნაცვლად გაჰზავენონ ისინი, ვისაც კანონით უფლება აქვს გუბერნატორის სხვაგან ყოფნის დროს იმის თანამდებობა შეასრულოს.

5. საოლქო საბჭო თვალ-ყურს ადევნებს, რომ სამრევლო სკოლების საქმე საქართველოს საექსარხოსოში კეთილად წარმოებდეს თანახმად იმ აზრისა, რაც ამ სკოლებს საფუძველად აქვთ დადებული, და ყოველივე ღონე იღონოს, რათა მოსწავლე ბავშვები განმტკიცდნენ მართლმადიდებელ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნობაში.

6. საოლქო საბჭო განიხილავს საქართველოს საექსარხოსოს ეპარქიალურ საბჭოების ყველა იმ დადგენილებათა, რომელნიც-კი უწმინდესმა სინოდმა უნდა გადასწყვიტოს. ამას გარდა, საქართველოს საექსარხოსო საოლქო საბჭოს გარდასცემს განსახილველად ყველა საქმეებს, რომლებიც-კი შეეხება სკოლების მართვა-გამგეობასა და რომელთა გარჩევასაც-კი საბჭოს მიერ საჭიროდ დაინახავს.

7. ეპარქიალურ სამასწავლებლო საბჭოებს ყოველ წლივ უნდა წარუდგინონ ოლქის საბჭოს წლიური ანგარიშები საეკლესიო სკოლების მდგომარეობისა. საოლქო საბჭო ამ ანგარიშების დაგვარად საზოგადო ანგარიშს ადგენს მხოლოდ საქართველოს საექსარხოსოს სკოლებისას და უწმინდეს სინოდისას. სამასწავლებლო საბჭოს წარუდგენს.

8. საოლქო საბჭო ყოველ წლივ, 1 დეკემბერს, წარუდგენს სამასწავლებლო საბჭოს უწმინდესი სინოდისას სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვას მომავალ წელში საეკლესიო სკოლების მოსაწყობად და შესანახად.

9. საოლქო საბჭოს დადგენილებანი წარედგინება საქართველოს საექსარხოსოს დასამტკიცებლად, ანუ სათანადო შემთხვევაში, წარსადგენად უწმიდეს სინოდში, რომ მან განიხილოს და დაამტკიცოს.

10. გასაერთვარებლად ყველა ეპარქიისა და მაზრის ზედამხედველთა მოქმედებისა, რომელნიც-კი ექვემდებარებიან საქართველოს საექსარხოსოს, უწმიდესი სინოდი, საექსარხოსოს წარდგენილებით, სასულიერო პირთაგან ნიშნავს სამრევლო სკოლათა საოლქო ზედამხედველს.

11. საოლქო საბჭოსა და ოლქის ზედამხედველს ნება ეძლევათ იქონიონ საკუთარი ბეჭდები იმავე სახისა, როგორც არის დაკანონებული საგუბერნიო დაწესებულებათათვის.

12. საქმის წარმოება საოლქო საბჭოში დავალება მოხელეს, რომელსაც ნიშნავს საქართველოს საექსარხოსო. ხაზინადრის თანამდებობას კი საბჭოში ასრულებს ერთ-ერთი საბჭოს წევრთაგანი, რომელსაც თვით საბჭო ირჩევს.

II. მიეცეს საოლქო საბჭოს ზედამხედველს საქართველოს საექსარხოსოს სკოლებისას ჯამაგირად 2,400 მან. (ამაში წმინდა ჯამაგირი 960 მან., ულუფისა—960 მან. და სახლის ქირად—480 მანეთი), 1,000 მან. მისვლა-მოსვლისა და კანცელარიის ხარჯად, უფლება პენსიის მიღებისა სასულიერო უწყებისაგან 1,200 მანეთამდე. საბჭოს წევრთა, მე-VI კლასის თანამდებობისა და მე-V ხარისხის მუნდირი, საქმის მწარმოებელს ჯამაგირად 1,200 მან. (წმინდა ჯამაგირი—480 მან. ულუფა—480 მან. და სახლის ქირად—240 მან.); მე-VIII კლასი თანამდებობისა, მე-VIII ხარისხის მუნდირი და პენსიის მისაღებად უფლება მე-VI ხარისხის თანამდებობისა.

III. ხარჯი, ოთხი ათას ექვსასი მანეთი წელიწადში, ჯამაგირად II მუხლში დასახელებულ თანამდებობის მოხელეთათვის, სულ ოთხი ათას ექვსასი მანეთი, აგრეთვე საბჭოს კანცელარიის შესანახად—ათასი მანეთი, მიეცეს თანხილამ, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულს სახელმწიფო საბჭოს აზრის თანახმად, 5 ივლისს 1895 წ. გადადებულია. უწმიდესის სინოდის ხარჯთ-აღრიცხვით საეკლესიო სკოლების მოსაწყობად და შესანახად.

ზემორე აღნიშნული აზრი სახელმწიფო საბჭოსი საქართველოს საექსარხოსოში სკოლების ახალი მართვა-გამგეობის შესახებ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად დაამტკიცა 26 მაისს 1903 წ. და კეთილ-ინება მისი აღსრულება.





# იმპერატორის ნიკლოაზ -I მოგზაურობა საქართველოში.

დასასრული \*)

აქ ამგვარი მოპყრობა თვითნებობა იქნებოდა, უსარგებლო და დასაგმობი სასტიკობა გამოვიდოდა, მაგრამ აზიაში, — რომელიც თავლუწვდენელ მანძილით დაშორებულია ჩემს ზედამხედველობას — ამიერკავკასიურის ჩემის არმიის პირველ დახედვაზე საჭირო იყო მეხის დაცემა ყველას შესაშინებლად და ჩემის მამაც სალდათების დასარწმუნებლად, რომ მე ძალმიძს მათი დაფარვა. მე სრულიად ცხადად ვგრძნობდი ამ სცენის საშინელებას და როზენის სანუგეშებლად იქვე მოვიხმე მისი შვილი, პრეობრაჟენსკის პოლკის პორუჩიკი, — რომელიც ვარშავის იერიშით აღებისთვის წმ. გიორგის ჯვრით იყო დაჯილდოებული, — ჩემ ფლიგელ-ადიუტანტად დავნიშნე ულირსი მისის სიძის მაგიერ.

ტფილისით გამოვედი 12 ოქტომბერს დილით ადრე. მომცეს მეეტლე, რომელსაც თავისი ცხენები გაწვრთნილი არ ჰყავდა და ან არ იცოდა მათი მართვა. ბრიყვმა დაუწყო მათრახით ცემა ცხენებს სწორედ მაშინ, როცა ჩამოვდიოდით კარგა დაქანებულ თავდაღმართში, რომელიც რამდენსამე ადგილს საშინელი გადასახეხი იყო. ცხენებმა გაგვიტაცეს. სწორედ სახუმრო წამი არ იყო. წინ დაგვიდგა განსაცდელი და აღარავითარი სალსარი აღარ სჩანდა ხსნისა. მეეტლის მისაშველებლად ცხენების შესაკავებლად კოლიასკაში წამოვდექი, მაგრამ ვერას გავხვდი; სულელური აზრი მომივიდა, ეტლიდან გადავხტები-მეთქი, მაგრამ ორლოვი მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, და შემაკავა. სიკვდილს ვერ ავსცდებოდით, რომ უეცრივ ძლიერ დაჯახების გამო ეტლი არ გადაბრუნებულიყო და შორს არ გადავესროლე. მე რამდენჯერმე ყირაზე გადავტრიალდი და მით მოვრჩი, ორლოვი კი გვარიანად დაიმტვრა, გადაბრუნებული ეტლი ორი თითის დადგებაზე უფსკრულის ნაპირზე იყო და, რომ არ გადმოვცვინიულიყავით, ჩვენ უთუოდ შიგ უფსკრულში ჩავცვივდებოდით. დასამტკიცებლად იმისა, რომ ეტლი ახლო იყო უფსკრულზე, საკმაოა ის მოვიყვანო,

რომ ორივე წინა ცხენები აღვირით უფსკრულში ჩაეკიდნ და მარტო ეტლის სიმძიმემ შეაკავა ისინი. გარეტიანებული ფეხზედ წამოვდექით, მადლობა შევსწირეთ ღმერთს სასწაულებრივ გადარჩენისათვის. ეტლის წინა ნაწილი სრულიად დაღეწილი იყო. ტფილისში დამზადებული გვექონდა სხვა ეტლები და უბრძანე ორლოვს დარჩენილიყო და ეტლები წამოეყვანა, ხოლო თითონ მე განვაგრძე მოგზაურობა ყაზახის ცხენით და მალე გავჩნდი ქვეშეთში, კავკასიის უმთავრეს უღელტეხილთან.

13 ოქტომბერს ისევ ცხენზე შევჯექი გარდასასვლელად იმ ვებერთელა მთების ზურგზე, რომელიც ჰყოფს ევროპასა და აზიას. ხეობაში კიდევ მშვენიერი შემოდგომა იდგა, ხოლო მთის წვერვალეებზე ექვსი გრადუსი ყინვა იყო და ცხენებს ფეხი მუდამ უსრიალდებოდათ. ამ მთებში და სალ კლდეებში გაყვანილი გზა სწორედ რომ უნდა ჩაითვალოს კაცის ხელოვნების ბუნებაზე გამარჯვებად. ახლა აქ შეიძლება ოთხი ცხენით შემბულ კარგით სიარული, მხოლოდ თვალს აშინებს, გარშემორტყმულ ბუნების საშინელი შეხედულობა.

ვლადიკავკაზში მიცდიდა ჩერქეზების და ლინიის ყაზახების ჩემი კონვოი, რომელიც პეტერბურგიდან დაბრუნებულიყო შემდეგ სამსახურის ვადის გასვლისა, და სხვა-და-სხვა მთიულების ტომთა დეპუტატები. უნდა შეგეხებდათ, ჩემი ყოჩალი ყაზახები რა სახით ადევნებდნენ თვალს ამ ვაჟბატონების მოძრაობას, რომელთაგან ბევრს ნამდვილი ავაზაკის შეხედულება ჰქონდა.

მე განუმარტე დეპუტატებს, თუ რას მოვიტხოვ მათ თანამემამულეთაგან, არა რუსეთის გაძლიერებისათვის, არამედ საკუთარ მათ სასიკეთოდ და მათ ცოლ-შვილის საბედნიეროდ და შემდეგ დაუმატე: რომ მე მართალს გეუბნებით, დასარწმუნებლად შეგიძლიანთ ჰკითხოთ აქვე დამსწრე მოლლას, რომელიც ჩემის ბრძანებით რამდენიმე წელიწადია პეტერბურგში სცხოვრობს და ასწავლის მაჰმადის რჯულს თავის თანამემამულეებს და იმათს შვილებს, რომელნიც აღსაზრდელად მებარნენ; დასასრულ დავსძინე, რომ მე მოვიტხოვ მხოლოდ, რომ წყნარად იყვეთ და დასტკბეთ თქვენის მშვენიერ სამშობლოს ბუნების სიმდიდრით და არ გაბედოთ შებრძოლება უძლეველ რუსეთთან-მეთქი.

\*) იხ. „მწიგნოსი“ № 13, 1903 წ.

ვეგონებ, რომ შეიგნეს ჩემი სიტყვები და ჩვენ ერთმანეთს მეგობრულად დაეშორდით; ამასთანავე ყველამ მოისურვა ეკატერინოდარამდე გამომყოლოდნენ. ამ ჩემს ამაღლაში ჩემიანებზე ოთხჯერ მეტი მტერი იყო და ყველა იმის ცდაში იყო, რომ დავეფარე რომელიმე მათგანის ბოროტ-მოქმედებისაგან. ახირებული სანახაობა იყო სწორედ. ზოგიერთმა მამებმა მთხოვეს, მათი შვილები აღსაზრდელად ამეყვანა.

უნდა ვაღიარო, რომ აქამომდე ადგილობრივ მთავრობას საქმე ისე ვერ წაუყვანია, როგორც საქირო იყო. მის მაგიერ, რომ მთარველობა აღმოეჩინა, ავიწროებდა მხოლოდ და აღელვებდა მკვიდრთ; ერთის სიტყვით თითონ ჩვენ გავხადეთ მთიულები მტერად და ჩვენც ბევრად უკან არ ჩამოგრჩენილვართ იმათ ავაზაკობაში. ბევრი ველაპარაკე ველიამინოვს და ვცდილობდი ჩამეგონებინა, რომ მსურს მშვიდობიანობა და არა გამარჯვება, რომ თითონ იმის სახელისათვის და რუსეთის ინტერესებისათვის საჭიროა აღერსით მონადირება და შეკავშირება რუსეთთან, რისთვისაც ამ ველურს ერს მან უნდა შეაგონოს, რამდენად გამოსადეგია წესიერება, კანონის სიმტკიცე და განათლება; ხოლო მუდმივი მათთან ბრძოლა უფრო დაგვაშორებს იმათ და უფრო გააძლიერებს ამ ერში ომის სურვილს და სისხლის ღვრას, რომელიც უამისოდაც ძრიელ უყვართ.

მე თითონ აქვე დაუფწერე ველიამინოვს ახალი ინსტრუქცია და უბრძანე დაწესოს სხვა-და-სხვა ადგილას სკოლები მთიელების შვილებისათვის, როგორც ყველაზე სარწმუნო საშუალება მათის გარუსებისათვის და მათ კერპ ზნე-ჩვეულებების მოსაღობად. იმედი მექვს, რომ ველიამინოვმა შეიგნო ჩემი ღარიგება და შემდეგში საქმე უკეთ წავა. როზენმა ბევრი კარგი გააკეთა, მაგრამ იმის სისუსტით უწესოებამ და ბოროტ-მოქმედებამ უფრო იჩინა თავი იმის მართვის დროს, ასე რომ ბოროტმა სძლია კეთილსა; მე დავუბარე ორლოვს, რომ ერჩია როზენისათვის დათხოვნის ქალაღი შემოეტანა. საჭიროა დაუყოვნებლივ იმის ადგილას ვინმე სხვა დაინიშნოს და მე კიდევ მივწერე თ. პასკევიჩს, რომ დამითმოს ამ ადგილისათვის გოლოვინი.

## სოფელი ურბათუბანი (კახეთი).

ექვს ამა აგვისტოს აქ შემდეგი მკვლევობა მოხდა. მოჰკლეს ადგილობრივი მღვდელი იროდიონ ჩეკურიშვილი. წინადაც თურმე ძალიან ხშირად ეტანებოდნენ, მაგრამ ყოველთვის რაიმე დამაბრკალებელი მიზეზი უხვდებოდათ წინ. ამ თვის ექვსში კი სადამოს ცხრა საათხედ, თავს დაესხნენ რამდენიმე ბოროტ-განმზრახველი იმ დროს, როდესაც იგი დერეფანში იყო წამოწოლილი და ჩასძინებოდა. პირზედ ხელი დაუფარებიათ, როგორც თვითონ ილაპარაკა, და ისე შესდგომიან საქმეს. ერთი შინ შესულა. ფეხზედ მდგომარე მღვდლის ცოლი უცებ გადუქცევია და დამბაჩა დაუმიზნებია, თუ ხმას ამოიღებ, აქვე მოგკლავო. ფოფოლიას მაინც ბიჭისთვის დაუწყია ძახილი. ბოროტ-განმზრახველთ რომ ველარა გაუწყვიათ რა, გარედ გამოვარდნილან; ეზოში გასულან და მერე იქ აუტეხიათ თოფის სროლა. მღვდლის ცოლი გამოვარდნილა კარზედ და უნახავს თავისი ქმარი მძიმედ დაჭრილი. როდესაც დაჭრილი შინ შევქონდათ, ამ დროს უფრო მოუხშირებიათ თოფის სროლა. თოფის გრიალისაგან შეშინებული ხალხი შინ განაბულა და მიმშველბელი არავინ ყოფილა. პირველად მოვიდნენ მომრიგებელი შუამავალი თავ. ნიკოლოზ ჭავჭავაძე და თავ. გრიგოლ ჭავჭავაძე. ამათ შემდეგ სხვებმაც მიჰბედეს. იკითხეს ვინ იყვნენო, მაგრამ რადგან ბნელოდა, მღვდელს ვერავინ ეცნო. მღვდელმა ორი საათის შემდეგ განუტევა სული. მღვდლის ცოლს ეცნო ის, რომელიც შინ შესულიყო, და მაშინვე დააპატიმრეს. მეორე დღეს ჩამოვიდნენ მაზრის უფროსი, ბოქაული და ბლალაჩინი. მეორე დღეს ეზოში იპოვნეს ერთი ბოროტ-მომქმედის ქული. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს. („ცნ. ფურცელი“).





### ბონების სალაროდავ.

არ არის ქვეყანაზე იმაზე მტკიცე უზენაესი მეფობა, რომელიც დამუარბეულია სიმართლეზე და კეთილ საქმეზე.

მონარქიულ სახელმწიფოებში უზენაესი ძალა მთავრობისა ვითომც სსოკადობის ცხოვრებაშია, მაგრამ საქმიანობის მართლ ერთადერთ ხელმწიფეშია.

ვინც უფელ ძალ-ღონეს ხმარობს მხიარულებისათვის ის დიდხანს მწიფენილი იქნება.

გულწრფელი მხიარულება არ შეიძლება მისთვის, ვისაც წმიდა სინდისი არა აქვს.

მხიარულება, — უფავილია კეთილ საქმის მტენარის ტოტზე ამოსული.

ნუ მხიარულებთ სხვისი უბედურებით.

ბეგია ისეთები, რომელთაც შეუძლიათ თავის-თავს წაუდღვენ, მაგრამ ძლიერ მტირენი არიან რომელთაც სხვათა წაძღვლა შეიძლებს.

ნივთს არ შეუძლია თავისით გაჩნდეს, ან მოძრაობა იწყოს. ღმერთმან ისე ბრძნულად და ხელაფნურად შექმნა და მოაწყო იგინი რომ დააკვირდე უნებლიეთ ფიქრებს, რომ უფელაფერი თავისით მოქმედებს და მოძრაობს. ცნობს თუ არა კაცი, რომ ნივთი იქცეს გონებად და გონება ნივთად. ამ კითხვის გამოურკვევლობაზეა დამუარბეული ღვთის უარყოფა. ნივთს არ შეუძლია შექმნას არა ნივთი.

ვისაც სუსტი ხასიათი აქვს, ის კაცი კი არ არის, არამედ ნივთი.

### შურნალ-გაზეთივიდან.

გაზეთებში შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი ახალ პაპზე.

პიუს მე-X-ს მეტად მოხერხებულ ღ მავარ ხასიათის კაცის სახელი აქვს. ქალაქ ვენეციისა და მთელის იქაურ პროვინციის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ მონაწილეობას იღებდა, თურმე. ამის ხელმძღვანელობით იქ ლიგა დაარსდა. ლიგაში ზომიერ პარტიის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას და კრედიტალეებიც. ამ ლიგას ბოლოს დროს დიდი გავლენა ჰქონდა საქალაქო და პროვინციის საბჭოებზე. ლიგამ გულწრფელად გააცლია სარტო, როცა

რომში პაპის ასარჩევად მიდიოდა. წასვლის დროს სარტოს ეთქვა: იმედი არა მაქვს რომ პაპად ამირჩიონ და ამიტომ ვენეციაში დასაბრუნებლად ეხლავე ავიდე ბილეთით. საერო მთავრობასა და მოხელეებთან სარტო ყოველთვის მორიგეებით ცხოვრობდა: ასე, მაგალითად, რამდენსამე წლის წინად ვენეციაში დიდის ამბით სადარბაზოდ მივიდა მეფე ჰუმბერტსა და დედოფალ მარგარიტასთან. დედოფალ მარგარიტასთან დღემდე მიწერ-მოწერა აქვს სარტოს. შარშან ეხლანდელ მეფე-დედოფალთანაც იყო სადარბაზოდ. წარსულ გაზაფხულზე სარტო ოფიციალურად დაესწრო წმ. მარკოზის ახალ სამრეკლოს საძირკვლის ჩაყრას, თუმცა ამ ამბავს მეფის ბიძა-შვილი ტურინის ჰერცოგი და საერო განათლების მინისტრი, ცნობილი თავისუფალი მოაზრე ნაზიც დაესწრენ. პიუს მე-X-ს ყველაზე ძლიერ უფრო ვენეციურ კილოზე უყვარს ლაპარაკი; ლათინური ენა მშვენივრად იცის, მაგრამ ახალ ენებში კი მარტო ფრანგული იცის, ისიც ცოტათი. სარტო ნამდვილ ბერივით, თითქმის ასკეტივით ცხოვრობდა; საკმაოდ მაგარი აგებულებისაა, მაგრამ გული კი ცოტათი დასუსტებული აქვს.)\*

\* \*

ეხლა ძლივს გამოირკვა, თუ რამდენი ქონება დარჩათ მოკლულ მეფე ალექსანდრესა და დედოფალ დრაგასა. მეფეს 250,000 ფრანკი ნაღდ ფულად დარჩენია და 150,000 ფრანკი სახელმწიფო ქალაღმდებით ამას გარდა, რაც სამეფო სასახლეში მოწყობილობა და ვერცხლეულება იყო, ისიც მეფის საკუთრებას შეაღვენდა, ალექსანდრე მეფეს 500,000 ფრ. ვალიც დარჩენია. დედოფალ დრაგას ვენის ბანკ „უნიონში“ შეტანილი ჰქონია 120,000 ფრ. და სერბიის საკრედიტო ბანკში ბელგრადში—50,000 ფრ.; ამას გარდა ბელგრადში სახლი დარჩა და დასასრულ ძვირფასი მორთულობაც დარჩენია 150,000 ფრანკისა. სულ დედოფალ დრაგას თავის დებისთვის 400,000 ფრანკის ქონება დაუტოვებია.

\* \*

„ნოვ. ვრ.“-ს თანამშრომელი მსჯელობს რუსეთის პედაგოგების შესახებ და აღნიშნავს, თუ

\*) 1900 წელში ჩვენ რამდენჯერმე დავესწარით წმიდა მარკოზის ეკლესიაში მღვდელ მოქმედების შესრულების დროს ღ კარდინალი სარტო პირის პირ ვნახეთ.

რედაქტორი.



რამდენად მოუმზადებელი არიან ესინი სერიოზულ მოღვაწეობისათვის. პედაგოგის სფერაში სრულიად გაუქმებულია გონიერი მსჯელობის, ლოგიკის კანონებიო — მაგალითად:

მკურნალები, სანამ თავის ხელობას შეუდგებოდნენ, დიდხანს სწავლობენ სამკურნალო საგანს თეორიულად და პრაქტიკულად, კლინიკებსა და აუდიტორიებში. პირველ ოპერაციებს პროფესორების ხელმძღვანელობით აკეთებენ. იურისტები, უნივერსიტეტის კურსს რომ დაასრულებენ, გამოცდილ ვეკილებს თანაშემწეებად ჩიწერებიან ხოლმე, სანამ თავის საქმეში არ დახელოვნდებიან და დამოუკიდებელ პრაქტიკის უფლებას შეიძენენ. ინჟინერებსაც, სანამ სასწავლებელში არიან ისინი, პრაქტიკულ სამუშაოზე ჰგზავნიან სავარჯიშოდ. ყველა ზემოხსენებულ სფერაში ლოგიკის კანონი სუფევს, პედაგოგიაში კი იგი სრულებით გამქრალია. დაასრულებს თუ არა ახალგაზდა კაცი უნივერსიტეტის ან საშუალო სასწავლებლის კურსს მასწავლებლად და აღმზრდელათ ხდება. სრულიად გამოუცდელ კაცს ბავშვებს მიანდობენ ხოლმე აღსაზრდელად იმ აზრით, რომ იგი თან-და-თან გაეარჯიშდება თავის ხელობაში. ამ მხრით მოსწავლეები ჯარის კაცებზე უფრო უარეს პირობებში არიან ჩაყენებულნი. ჯარის-კაცებს და კავალერისტებს თავით გატენილ ფშუტურობთან საომრად გამოიყვანენ ხოლმე, აჩეხვინებენ ამ ფშუტუროებს და ამნაირად მტერთან საბრძოლველად ამზადებენ. ამ მხრივ ფშუტუროებს ცოცხალ ადამიანებთან შედარებით უპირატესობა აქვთ. მასწავლებელი კი სრულიად მოუმზადებელი გამოდის ცოცხალი ადამიანის და არა ფშუტუროს აღსაზრდელად.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, „ნოვ. ვრემ.“-ს თანამშრომლის სამართლიან მსჯელობას, მხოლოდ უნდა დაესძინოთ, რომ ჯარის-კაცებისა და მასწავლებლების მოქმედებას ერთი რამა აქვთ საერთო — ჯარის-კაცთა ხელიდან დასახიჩრებული უსულო ფშუტუროები გამოდიან, პედაგოგების ხელიდან-კი — დასახიჩრებული სულდგმული ფშუტუროები.

\* \*

მოკლულ კონსულ როსტკოვსკის თაობაზე გერმანული გაზეთი „კელნიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: ეს მეტად დიდი ამბავია, მაგრამ სანამ დაწვრილებით უტყუარ ცნობებს არ მივიღებთ, მანამ გა-

დაწყვეტით რისამე თქმა არ შეგვიძლიან. ოსმალელ დარაჯს სამხედრო სალაში არ მიუცია რუსეთის კონსულისათვის. რამდენადაც ვიცით, დარაჯად მღვარი ჯარის კაცი არსად არაა მოვალე, რომ კონსულებს სამხედრო სალაში მისცეს. ასე იყო აქამდე ოსმალეთშიაც, მაგრამ ამას წინად ავსტრიაში და რუსეთში მოითხოვეს, დარაჯებმა კონსულებს სამხედრო სალაში აძლიონო. ოსმალეთის მთავრობაც დასთანხმდა ამ სახელმწიფოებს და შესაფერისი განკარგულებაც მოახდინა. მაგრამ მონასტირის ვალიმ ეს განკარგულება როდი შეატყობინა თავის ხელ-ქვეით ჯარებს. ამაზე ავსტრიაში და რუსეთში პროტესტი გამოაცხადეს. ჯერ არ ვიცით, მონასტრის ვალიმ შემდეგში მაინც აცნობა ეს განკარგულება ჯარებს, თუ არა.»

ინგლისური ლიბერალური გაზეთი „დაელინიუს“-ი სწერს: კიდევ ერთი რუსის კონსული მოჰკლეს; ამას იქით რუსეთი, რასაკვირველია, ოსმალეთს სხვანაირად მოექცევა და აღარას უშველის. დიდ გაჭირვებაშია ოსმალეთი. ლამის ერთი პროვინცია კიდევ მოაკლდეს, ოსმალეთსაც ესმის ეს გაჭირვება და ამიტომ მაკედონიაში ხელად ჯარი გაგზავნა. მაკედონიის აჯანყება ისევ დაიწყო, ოსმალეთის უკანო ქცევა ვეღარ აიტანეს მაკედონელებმა და აჯანყდნენ. ყველა თავისუფლების მოყვარე ინგლისელი მოვალეა გამარჯვება უსურვოს მაკედონელებს.

«ფრანკფურტ. ცაიტუნგ“-ს სწერენ: „ორიოდე დღის წინად ა. ა. როსტკოვსკიმ და ავსტრიის კონსულმა კრალმა მოსთხოვეს მონასტრის ვალის ალი-რიზა-ფაშას დარაჯებმა სამხედრო სალაში გვაძლიონო. ვალიმ უარი უთხრა ამაზე; კონსულებმა სტამბოლში იჩიულეს და ხონთქრის ბრძანებით დიდმა ვეზირმა განკარგულება მოახდინა, რომ დარაჯებმა სამხედრო სალაში აძლიონ როსტკოვსკისა და კლარსაო, 26 ივლისს როსტკოვსკიმ დაინახა, რომ დარაჯმა სალაში არ მისცა, მივიდა და ჰკითხა: „რატომ თოფს მალლა არ ასწევო?“ დარაჯმა არათფერი პასუხი არ მისცა, ისევ წინ და უკან მიდი-მოდოდა. კონსულმა ჰკითხა დარაჯს, იცი ვინ გელაპარაკებო? მაგრამ დარაჯმა კიდევ ხმა არ გასცა. როსტკოვსკიმ აუხსნა რუსის კონსული ვარო და მოსთხოვა, სალაში მომეციო. სალამის მაგივრად დარაჯმა თოფი დაუმიზნა და ორჯელ ესროლა როსტკოვსკის.»



**მაკედონია.** „ნოვოე ვრემია“-ს ბელგიურ გაზეთ „ინდებანდანს ბელუ“-იდან შემდეგი საყურადღებო ცნობა გადმოუთარგმნია: სარწმუნო და მეტად სერიოზულ კაცისაგან გავიგეთ, დიდმა სახელმწიფოებმა ახალი მოლაპარაკება გამართეს აღმოსავლეთის საქმეზე და ამნაირად მორიგდენ: თუ ოსმალეთი მაკედონიას დაუყოვნებლივ არ დაამშვიდებს, დიდი სახელმწიფოები თითონ იკისრებენ ამ საქმის ასრულებას. რუსეთი დარდნაღელსა და ბოსფორს დაიქერს, ავსტრო-ჰუნგრეთი მაკედონიას დაიქერს სალონიკამდე, იტალია კიდევ ალბანიის ნაპირას დაიცავს ადრიატის ზღვაში სახელმწიფოების ჯარები დროებით დარჩებიან ამ ადგილებში. ოსმალეთის ხონტქრის ხელმწიფება ხელ-შეუხებელი დარჩება. სახელმწიფოები იმნაირადვე მოიქცევიან, როგორც ინგლისი მოიქცა ეგვიპტეში.

\* \*

მაკედონელი ბოლგარები ისე ყოჩაღად იქცევიან, რომ ყველას თანაგრძნობა დაიმსახურეს. იმ ადგილებში, სიდაც აჯანყებაა, სერბებიცა დგანან; აქამდე აქაური თუ სამეფოს სერბები შურით უყურებდნენ მაკედონიელ ბოლგარებს და მტრულად ექცეოდნენ. ეხლა კი, ეტყობა, ბოლგარების თავგანწირულ მოქმედებას სერბებიც გაუტაცნია. სერბიული გაზეთები დიდის თანაგრძნობით სწერენ მაკედონიის აჯანყებაზე. ბელგრადაში დიდი კრება მოუხდენიათ მაკედონელთა სასარგებლოდ და კიდევ აპირებენ მრავალ კრების გამართვას. ბელგრადის გაზეთებმა შემდეგი მოწოდება დაბეჭდეს:

„100 წლის წინად ჩვენმა პაპებმა იარაღი აისხეს სერბიის ერის განსათავისუფლებლად, ისე ეხლა მაკედონიელებმა წმიდა ომი გამოუცხადეს ოსმალეთის მთავრობას და აუტანელ მონობის უღლიდან განთავისუფლებას სცდილობენ. ჩვენი დამონავებული ძმები აჯანყდნენ და თავისუფლების დროშა ამართეს. ჩვენი მოვალეობაა ვუშველოთ ჩვენს ძმებს. განათლებული ევროპა ჩვენის ძმების ტანჯვას ვერ ჰხედავს. თავის ნივთიერ ინტერესის გულისათვის ევროპა ამ მტარვალურ სახელმწიფოს ესარჩლება. ევროპისაგან არაფერ კეთილს არ უნდა მოველოდეთ. მაშ რანაირად ვუშველოთ ჩვენ ძმებს? —ამაზე მოსალაპარაკებლად ხვალ ჩვენი ინტელიგენცია, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები, ვაქრები და მუშები დიდს კრებას გაჰმართავენ.“

ოსმალეთში მცხოვრები სერბებიც აჯანყებულან და ბოლგარელების გვერდზე იბრძვიან. ეხლა, როგორც ეტყობა, ბერძნებიც კი მოუყვანიათ ქუეზე. აქამდე, როგორც ვიცით, ბერძნები მეტად უსინდისოდ და საზიზღრად ექცეოდნენ ბოლგარელებს: რეოლიუციონერებს აბეზდებდნენ, ოსმალეთის ჯარს გზას უჩვენებდნენ და სხვ. გაჯავრებულმა ბოლგარებმა მეტად ბევრი ჯაშუში ბერძენი მოჰკლეს. მაგრამ ამავე დროს ბოლგარები ყველგან არწმუნებდნენ ბერძნებს, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეთო, რადგან ჩვენ საერთო საქმისთვის ვიბრძვით და ვცდილობთ, რომ ყველა მაკედონელი, ეროვნების განურჩევლად, ოსმალეთის მონობისაგან განვათავისუფლოთო. ბოლგარების მეცადინეობამ გასჭრა და ეხლა მთელ გეგველიის ოლქში განთქმულმა ბერძენმა მიტომ რაზმი შეადგინა და ბოლგარებივით ოსმალეთის ჯარს ებრძვის; გეგველიის ოლქში, სადაც ბოლგარების გარდა ბერძნებიც სცხოვრებენ, მთელი ახალგაზღობა, ეროვნების განურჩევლად აჯანყებულა.

ბოლგარია აქამდეც ძლიერ თანაუგრძნობდა მაკედონელ ბოლგარელებს და ეხლაც, რა თქმა უნდა, რომ ყველაზე ძლიერ თანაუგრძნობს და ეხმარება კიდევ. ბოლგარიის სატახტო ქალაქ სოფიაში ბოლგარებს დიდი კრება მოუხდენიათ და დაუდგენიათ: „სრული თანაგრძნობა გამოუცხადოთ ჩვენ ძმებს, რომლებიც მაკედონიასა და ადრიანოპოლის ვილაეტში თავისუფლებისათვის იბრძვიან; ევროპის საზოგადოებას მივმართოთ და ვსთხოვოთ, ოსმალეთის მთავრობას დაპირებული რეფორმები მოახდენინოს, რადგან უამისოდ სისხლის ღვრა შეწყვეტილი არ იქნება. დაწყებული ბრძოლა უსათუოდ გამარჯვებით უნდა დასრულდეს, ამისათვის ჩვენ მოვალენი ვართ, ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება გაუწიოთ აჯანყებულთ. ვსთხოვოთ ბოლგარიის მთავრობას, რომ ჩვენი ეროვნული ინტერესი რიგზე დაიცვას; ვსთხოვოთ აგრეთვე ბოლგარიის მოქალაქეებს, რომ ყველამ, ვისაც რით შეუძლიან, დახმარება გაუწიოს მაკედონელ მეზობლოთ. შეწირულება მაკედონელების წარმომადგენლებს უნდა გაეგზავნოს. მთელის ბოლგარიის მოქალაქეებს ვსთხოვთ, რომ სოფიის მოქალაქეების მაგალითს მიჰბაძონ, ჩვენ მეზობლო ძმებს ზნეობრივი დახმარება გაუწიონ და იმათ სასარგებლოდ ფული შეჰკრიბონ.“



# ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* \* ჩაის კულტურა ნელ-ნელა ვრცელდება ქუთაისის გუბერნიაში. როგორც აგრონომის ტიმოფევის ანგარიშიდანა სჩანს, ჩაი გაუშენებიათ სენაკის მაზრაში: სალხინოს, კოტიანეთს და ძველ-სენაკს; ზუგდიდის მაზრაში: ხეთას და ცაიშს. საჭიროა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ მეტი ყურადღება მიაქციონ ჩაის გაშენებას, რადგან ჩაი ყველა სხვა სასარგებლო მცენარეზე შემოსავლიანია. ერთი დესეტინა ჩაი იძლევა 360-დან 4800-მანეთამდე.

\* \* \* სენატმა განმარტა, რომ იმ შენობათა პროექტი, რომლებსაც სახალხო დანიშნულება აქვთ, ქალაქის სამმართველოებმა კი არ უნდა განიხილონ, არამედ გუბერნიის სამმართველოს უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად.

\* \* \* გამოცხადდა შემდეგი უმაღლესი ბრძანება უმართველეს სენატისადმი: „იმპერიის აღმოსავლეთს განაპირა ადგილების რთული მართვა-გამგეობა ვალად გვდებს ჩვენ განვამტკიცოთ მართვა მათი, რომ უზრუნველყოფილ შეიქმნას მშვიდობიანი წინ სვლა ამ მხარისა და დაუყოვნებელი დაკმაყოფილება ადგილობრივ საჭიროებათა. ვცანით რა ამისათვის საკეთილოდ შესდგეს პრიაშურის საგენერალ-გუბერნატოროსა და კვანტუანის ოლქისაგან საკუთარი მთავარ მართველობა, ვბრძანებთ ჩვენს შორეულს აღმოსავლეთში მყოფს მთავარმართველს მიენიჭოს უმაღლესი უფლება სამოქალაქო საქმეთა მართვისა იმ ქვეყანაში, ონელიც მას აბარია და ეს მართვა-გამგეობა ჩამოერთვას სამინისტროს. მასვე მიენიჭოს უზენაესი მზრუნველობა რათა დაიცვას წესი ღ უში-შრობა იმ ადგილებში, რომელნიც უქირავს ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზასა, აგრეთვე მის ზრუნვას ქვეშ იქნებიან ის ადგილებიც, რომელიც რუსებით არს დასახლებული და მეზობლად მდებარებენ იქ, სადაც იგი მთავარ მართველობს. 2, ვიდრე გამოიცემოდეს ახალი დებულება შორეულ აღმოსავლეთის მართვა-გამგეობისა, მთავარ მართველს ექნება ის უფლებანი და ვალდებულებანი, როგორც უმაღლეს აგრედვე ადგილობრივთა დაწესებულებათა შესახებ, რომელნიც მოხსენებულნი არიან უმაღლესს რესკრიპტში 30 იანვარიდამ 1845 წლისა, როდ-

საც დაფუძნდა კავკასიის მთავარმართველობა. მართველობის დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა, რომელნიც-კი ექვემდებარებიან მთავარმართველს, შეუძლიანთ მიჰმართონ სამინისტროებსა და სხვა მთავარ დაწესებულებათა მხოლოდ მთავარ მართველის საშუალებათა. 3, შორეულ აღმოსავლეთის მთავარ მართველის ხელში იქმნება დიპლომატიური დამოკიდებულება ოლქის საქმეებისა გამო მეზობელ სახელწიფოებთან. 4, მთავარმართველს ეძლევა უფლება განაგოს ის საზღვაო მხედრობანი, რომელიც მოქმედობს დიდს ოკეანეში, და აგრეთვე მასვე ემორჩილება მთელ მხარეში მყოფი ჯარები. 5., რომ შეთანხმებით იწარმოვოს შორეულის აღმოსავლეთის საქმეებმა საზოგადოდ მთელის სახელმწიფოს საჭიროებასთან და მინისტრთა მოქმედებასთან, ჩვენის თავმჯდომარეობით დაფუძნდეს განსაკუთრებული კომიტეტი იმ პირთაგან, რომელნიც ჩვენის ნდობით არიან რომელიც ამასთანავე ინიშნება მოსილნი. 6., გენერალ—ადიუტანტს აღექსევეს შორეულ აღმოსავლეთს მთავარმართველად, მიენდოს შეადგინოს დებულება შორეულ აღმოსავლეთის ოლქების მართვა-გამგეობისა და წარმოგვიდგინოს ჩვენ დასამტკიცებლად.—უმართველესმა სენატმა აღსასრულებლად ამისა მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება“. ნამდვილზედ საკუთარის მისის იმპერატორების უდიდებულესობის ხელით წარწერილ არს „ნიკოლოს“.—პეტერგოფი, ივლისის 30 დღესა 1903 წელსა.

\* \* \* გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული დებულება, რომლის ძალითაც პენსია უნდა ეძლიოს წმ. გიორგის ჯვარით დაჯილდოვებულ დაბალ ხარისხის ჯარის კაცებს. ვისაც მეოთხე ხარისხის ნიშანი აქვს, იმას მიეცემა 8 მან. მესამე ხარისხის—16 მან., მეორე ხარისხისა—24 მან. და პირველ ხარისხისა—36 მანეთი. წელიწადში, როგორც სამსახურის დროს, ისე შემდეგაც. კავკასიის მკვიდრ მცხოვრებთ, რომელნიც დაჯილდოვებულნი არიან 1858 წლის 5 ივლისამდე, იმ დღიდგან ეთვლებათ პენსია, წელიწადში 8 მანეთი.

\* \* \* ჩვენ მივიღეთ ახალი ნახატებიანი საბავშო წიგნი „მათიკო და მისი გიშერა“, შვედური ზღაპარი, თ. ხუსკივადის მიერ გადმოკეთებული და ქუთაისში დაბეჭდილი. წიგნი სუფთად არის გამოცემული და იაფიც არის—ორი შაური. ამასთანავე

სასამონო ამავე გვაუწყეს, რომ ქუთაისში პატარა წრე შემდგარა სახალხო წიგნების გამოსაცემად. ამხანაგობა შესდგება მხოლოდ საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთაგან, რომელთაც 1,000 მან. მოუგროვებიათ.

\* \* საბუნჩაში, როგორც ბაქოს გაზეთები გადმოგვცემენ, პოლიციისტერს შემდეგი განცხადება გაუკრავს: „რადგან ბალახანა-საბუნჩაში ვილაც ბოროტ მომქმედნი ძალ-მომრეობას სჩადიან, ამიტომ ვაცხადებ, რომ სამხედრო დარაჯნი შეიპყრობენ და პოლიციაში გაჭვანჭიან ყველას, ვინც საღამოს 9 საათს შემდეგ ქუჩაში გაივლის ან ქვეითად ან ეტლით. ყველა იმათ, ვისაც 9 საათს შემდეგ საქმე აქვთ, მაგალითად, ფირმების გამგეებმა, მოხელეებმა და სხვამ პოლიციისაგან მოწმობანი უნდა აიღონ.“

\* \* შემდეგ ამბავს გვატყობინებენ: „20 ივლისს ერთმა მანდილოსანმა ნაშუადღევს ორ საათზე გაიარა ალექსანდრეს ბაღში. ერთი დედაკაცი ფართუკ შემოკრული სკამზე იჯდა. როგორც-კი დაინახა მიმავალი, გადაუდგა წინ და დაუწყო ლაპარაკი: ქალბატონო, მშვიერი ვკვდები და ალავი მიშოვნეთ, ან თქვენ გენდომებათ მოსამსახურე. ფული არ მინდა, ოღონდ ლუკმა მაქამეთ, ღვთის-გულისთვისო. მანდილოსანს შეეცოდა და წაიყვანა სახლში. სადილიც აჭამა. ახალმა მოახლემ ყველაფერი გამოჰკითხა, მარტო ცხოვრობთ, თუ ქმარი გყავთო. მანდილოსანმა უთხრა, შეილები არა მყავს და ქმარი-კი ამ ჟამად სხვაგან არისო. ამის შემდეგ მანდილოსანი ისე ექცეოდა, როგორც შინაურ მოახლეს და ტანისამოსის ხდაც დაიწყო. ეს რომ მოახლემ დაინახა, ახლო მივიდა, ალერსით ლაპარაკი დაუწყო, ლოყებზე ხელი წაუსვა და საზოგადოდ, რაღაც უცნაურად იქცეოდა. თანაც ელაპარაკებოდა. ამ დროს სახლში შემოვიდა მეზობლის მოსამსახურე ქალი; ყური დაუგდო ლაპარაკს და, შემდეგ ჩუმად უთხრა დიასახლისს, რომ მოახლის ლაპარაკი ქალისას არა ჰგავსო, უეჭველად კაციაო. დიასახლისი შეუდგა გამოკითხვას და გამოაშკარავდა, რომ „მოახლემ“ კაცი ყოფილა. ბოლოს ეს უცნაური „მოახლემ“ გარედ გავარდა და გაიქცა.“ („ცნ. ფურ.“)

\* \* 13 ივლისს საიდუმლო პოლიციის აგენტებმა აღმოაჩინეს ხარკოვში სექტანტების, ეგრედ წოდებულ შტუნდისტების, სალოცავი, სადაც 100-დე კაცი და ქალი იყო თავმოყრილი. ლოკულობ-

დნენ და სახარებას კითხულობდნენ. პოლიციამ ოქმი შეუყენა ყველა დამსწრეთ და საქმე სასამართლოს გადასცა.

\* \* რუსეთის ცნობილ მწერალ ვ. კოროლენკოს კიშინევიში მოგზაურობის შემდეგ დაუწერია მოთხრობა „სახლი № 13“, რომლის შინაარსი ებრაელების თავდასხმა ყოფილა.

თავდასხმისაგან დაზარალებულთა შემწე კომიტეტს ღრუვანდლამდე სხვა-და-სხვა ქვეყნებიდან მიუღია 736,476, მან. ამერიკიდან—192,443 მან., ინგლისიდან—16,001 მან., გერმანიიდან—35,675 მან., იტალიიდან—5,000, ჰორლანდიიდან—1,000 მან. ავსტრიიდან—10,415 მან., რუმინიიდან—3,023 მან., საფრანგეთიდან—9,748 მან., რუსეთიდან—361,955 მან., რუსეთის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან—101,725 მან.

\* \* გზათა სამინისტროს ცნობებიდან სჩანს, რომ დღეს ციმბირის რკინის გზებზე 4584 ვერსის სიგრძე ყოფილა მატარებლების წესიერი მიმოსვლა.

\* \* საერო განათლების სამინისტროს განკარგულებით, გიმნაზიის პირველ და მეორე კლასის მოწაფეთ უგზამენოდ მიიღებენ რეალურ სასწავლებელთა იმავე კლასებში. სამინისტრომ განმარტა აგრეთვე, რომ იმ პირთ, რომელთაც გამოცდის შემდეგ პირველ დაწყებით სკოლის მასწავლებლის ხარისხი მიენიჭათ, უფლება ეძლევათ საშუალო სასწავლებელში კლასის დამრიგებელთა ამხანაგის ადგილი დაიჭიროს.

\* \* თავ. მეშჩერსკიმ გაფრთხილება მიიღო „გრაჟდანი“-ს მე-61 ნომერში („დლიური“) დაბეჭდილი სტატიის გამო რაშიც ეხებოდა ადგილობრივ ადმინისტრაციის უმაღლეს წარმომადგენელთ.

\* \* „ცერკოვ. ვედ.“-ში გამოცხადებულია, რომ ალექსანდრის ეპარქიაში (ამერიკაში) იმყოფება ყალბი ეპისკოპოსი, რომელიც თავის თავს უწოდებს სერაფიმ, ამერიკის მიტროპოლიტად. ეს კაცი ასრულებს თურმე საარქიელო ღვთის მსახურებას, აკურთხებს მღვდლებსა და დიაკვნებს და აარსებს მრევლებს. იგი მღვდლად ნამყოფი, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატია, გვარად უსტველსკი და 1882 წელს თავის ნებით გაკრეჭილა.

\* \* ებრაელთა წინააღმდეგ უწყესობათა ასაცილებლად უწმ. სინოდმა დაადგინა, სამღვდლოებამ იქადაგოს ებრაელთა მიმართ მტრულად განწყობილ



ხალხში, გამართოს ხოლმე საუბარი იმ ადგილებში, სადაც ებრაელები ბინადრობენ, განუმარტონ ხალხს, თუ რამდენად სასირცხო და სამწუხაროა ებრაელთა მძულვარება ქრისტიანებათის, რომელიც აღიარებს ქრისტეს რჯულს, ქრისტეს მცნებას, ხალხთა განუჩეველად, საზოგადოდ მოყვასის მიმართ სიყვარულს.

\* \* \* ღღემდის სამშობლო ენის სწავლება სამრევლო-საეკლესიო სკოლებში მასწავლებელსა ჰქონდა ჩაბარებული. ეხლა კი, ოლქის მეთვალყურის აზრით, ამ ენის სწავლება ისე, როგორც საღმრთო სჯულისა, უნდა ჩაჰბარდეს სკოლის გამგეს, ე. ი. მღვდელს. ( „ცნ. ფურც.“ )

\* \* \* „ცნობის ფურცელში“ მოთავსებული იყო კიევში მომხდარ არეულობის ამბავი, რომლის მიზეზი პრიმაკოვის ქალის სიკვდილი იყო. ღღევანდელ რუსეთის გაზეთებში საინტერესო ცნობაა მოყვანილი ამ ამბავის შესახებ. ქ. კიევის ექიმმა გასკრა გვამი პრიმაკოვის ქალისა, რომელმაც ვითომ და პოლიციაში თავი ჩამოიხრჩო, და აღმოჩნდა, რომ მას ხუთი გვერდი ჰქონია ჩამტვრეული, ტვინში სისხლი ჰქონდა შეგროვილი და სახე გაღურჯებული — ეტყობოდა, ძლიერ ეცემნათ საბრალო ქალისათვის. გვამს არ ეტყობოდა კისერზე ისეთი ნიშნები, რომელნიც ჩამოხრჩობას მოჰყვება ხოლმე. გამოძიება სწარმოებს პოლიციელთა მოქმედების გამოსაკვლევად.

\* \* \* გაზ. „რუსკ. ტურქესტ.“-ი იუწყება, რომ 25 ივნისს თურქესტანის სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე პორუჩიკ ცოცხალოვის შესახებ, რომელმაც რევოლვერით მოჰკლა შტაბ-ოფიცერი ვიტტელი. სასამართლომ ცოცხალოვს დახვრეტა მიუსაჯა, რაცა სისრულეში მოიყვანეს 26 ივნისს. 1 ივლისს საღამოს პეტერბურგიდან ტელეგრამა მოვიდა, ცოცხალოვს სიცოცხლე აჩუქეთ და უვადოთ კატორგაში გაგზავნეთო.

\* \* \* 9 აგვისტოს, შუაღლისას, კასპის მახლობლად კინალამ დიდი უბედურება მოხდა. კასპის სადგურიდან და 249 ვერსის ასაქცვიდან ერთსა და იმავე დროს გაუშვიათ სახალხო მატარებლები. როდესაც მატარებლები ერთმანეთს მიახლოვებიან, გზის დარაჯს ნიშანი მიცხია ლ როგორც ყოფილა, გაუჩერებიათ მატარებლები. დაჯახებას სამი-ოთხი არშინი-ლა აკლდა თურმე. ამბობენ, მგზავრებმა 150

მანეთი მოჰკრიბეს და გადასცეს დარაჯს სანდრო შამანაურსო. \*)

\* \* \* სასულიერო მთავრობის მიერ დაკანონებულია, რომ იმ სასულიერო წოდების პირთ, რომელნიც უმაღლესს სასულიერო სასწავლებელს ათავებენ და რუსეთის განაპირა ადგილებში მსახურებენ, ყოველ ხუთის წლის სამსახურის შემდეგ ჯამაგირი ემატებათ. აქამდე გამორკვეული არ იყო, ეს კანონი კავკასიაში მოსამსახურეთაც შეეხებოდა თუ არა. ეხლა უმაღლესმა მთავრობამ განმარტა, რომ აღნიშნული კანონი შეეხება ჩვენში მოსამსახურე სასულიერო პირთაც. კანონის გამოცემიდან ბევრს ღღევანდლამდე არ უსარგებლნია ამ ჯამაგირებით. ღღეს კი ასეთმა მოსამსახურეებმა ერთად მიიღეს 2000, 3000, მან. და სხვა. \*\*)

\* \* \* ქართლ-კახეთის ეპარქიაში 1901 წელს 575 ეკლესია ყოფილა, რომელსაც საკუთარი მრევლი ჰყავს. ამათგან მხოლოდ 153 ეკლესიას ჰყოლია სამზრუნველო და ისინიც შესაფერად ვერ უვლიდნენ ეკლესიას და მრევლის საჭიროებას ვერ აკმაყოფილებდნენ. ამისათვის ყურადღება მიუქცევია საქართველოს ექსარხოსს ალექსის და განკარგულება მოუხდენია, რომ სამზრუნველოები ყველგან დაარსდეს, რადგანაც სამზრუნველოს შეუძლიან დიდი დახმარება აღმოუჩინოს ეკლესიის კრებულს, გაამშენიეროს ტაძარი, დააარსოს სამკითხველო, წიგნთსაცავი, საავადმყოფო, ღარიბთა თავ შესაფარი და სხვ.

\* \* \* უმაღლესად ებოძათ წმ. ანნას ორდენი მესამე ხარისხისა: ახალციხის წმ. გიორგის ტაძრის დეკანოზს დიმიტრი ხახუტაშვილს, ქუთაისის კათედრის ტაძრის მღვდელს ნესტორ ყუბანეიშვილს, სოფელ ლაილაშის მღვდელს რომანოზ გულბანს, ქუთაისის სასაფლაოს ეკკლ. მღვდელს ალექსანდრე შანიძეს. წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენი ებოძა ს. ლელვანის (იმერეთის ეპარქია) მღვდელს ვეფხვაძეს.

\*) ჩვენის აზრით ეს ფულები საჩუქრად უნდა გადაეხდევინებიათ იმ ბატონ სადგურის უმფროსებისათვის ვისი წყალობითაც ეს შეცდომა მოხდა.

\*\*) ნეტავ რატომ უმატებენ ამ ფულებს განაპირა ადგილებში? ამბობენ ძნელია სამსახური საქართველოშიო; როცა შუაგულ ადგილებში გადაყავთ ლ ტირილით მიდიან ეს რაღას ნიშნავს თუ აქ სამსახური ეძნელებათ?..

რედ.





\* \* ის ორი ფეხით მოგზაური ლატიში, რომელთა შესახებაც ცნობა იყო „ივერია“-ში გუშინწინა და გუშინ შესულან რედაქციაში და თითქმის ერთს საათს დარჩენილან. ორივენი ყმაწვილნი კაცნი არიან, ერთი 20 წლისა და მეორე 22-ისა; ტფილისში მთელს კვირას დარჩებიან. გუშინ დაათვალიერეს წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავი და მუზეი. გუშინვე უნდა დაეთვალიერებინათ სიონის საეკლესიო მუზეუმიც. ლატიშები 2 მილიონამდე ვართ კურლიანდიაშიო, უამბიათ ამ ახალგაზდა მოგზაურთ. 30 გაზეთი და ჟურნალი გვაქვსო. ჩვენში ყველამ იცის წერა-კითხვა, იმიტომ რომ სკოლაში სიარული საფაღდებულოა ყოველის პატარა ბავშვისათვის. ოჯახი არ მოიძებნება თითქმის, რომ გაზეთს არ იწერდეს, ან არ კითხულობდეს მაინც სამკითხველოში, რომელიც ყოველ სოფელს აქვს გამართულიო. ჩვენი მოგზაურობა გასტანს 4 წელიწადს. თებერვლიდან დავიწყეთ მოგზაურობა ფეხით. რუსეთი კარგად გავიცანითო.

\* \* გზათა სამინისტრომ განიზრახა დაბალ მოხელეთა ყოფა-ცხოვრება გააუმჯობესოს. პირობების შესამუშავებლად კომისია იქმნება შედგენილი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ყველა რკინის გზების წარმომადგენელნი. ამ დღეებში ტფილისიდანაც წავა პეტერბურგს ამიერკავკასიის რკინის გზის წარმომადგენელი, რომელსაც გზის უმფროსი თავის მაგივრად ჰგზავნი.

\* \* ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის პოლიციამ დღეებით აცნობა ქ. სამარის პოლიციას, დაეკავებინა ვოლგის სამგზავრო გემ „ცარიცა“-ზე თოფების ტრანსპორტი, რომელსაც ფარულად ჰგზავნიდნენ ბაქოში. სამარის პოლიციამ დააკავა სამი ყუთი თოფებით. წონით თითო ყუთი 20 ფუთია და 300 მანათადაა დაფასებული. ყუთები ისევ ნიჟნი-ნოვგოროდში დააბრუნეს. თოფები ამ ქალაქიდან თათარს იბრაჰიმ ოღლის გაეგზავნა.

\* \* ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მისდის ცნობები საშუალო სასწავლებელთა უფროსებისაგან, რომ ამ სასწავლებლებში ბოლო დროს გახშირდა მოწაფეთაგან წესიერების დარღვევა და არეულობანიო. ოლქის მზრუნველმა ცირკულიარით აცნობა უფროსთ, სასტიკად დაიცევით ამგვარ შემთხვევათა შესახებ ჩემგან გამოცემული წესებიო. მზრუნველი ურჩევს აგრეთვე სასწავლებლების გამ-

გეობათ, ხშირად მოიწვიონ ხოლმე პედაგოგიურ კრებებზე შეგირდების მშობლები, რომელთა შემწეობით შესაძლებელი იქნება შეგირდების ხნეობრივი გასწორება.

\* \* რიაზანის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლს გამოუწერია თავის მამულების მცველებად ჩერქეზები, რომელნიც ერთობ უწყალოდ თურმე ეკიდებიან ადგილობრივ გლეხებს. ამას წინად, გლეხები რომ ყანაში მუშაობდნენ, ერთმა ამ ჩერქეზთაგანმა ჩხუბი აუტეხა იმათ და მათრახი შემოჰკრა გლეხს. გლეხმა ცელით დასჭრა ჩერქეზი. ამ უკანასკნელმა ხანჯალი იძრო და ჩასცა მუცელში საცოდავ გლეხს, რომელმაც იქვე განუტევა სული. გლეხებს უნდოდათ მკვლელი დაეჭირათ, მაგრამ იგი ტყეში გაიქცა. გლეხები ჯგუფად წასულან მემამულე გაგარინთან საჩივრელად. გაგარინი მწყურალოდ დახვდებოდა გლეხებს, ლანძღვა დაუწყია და განკარგულება მოუხდენია, დაქრილი ჩერქეზი საავადმყოფოში წაყვანათ. მემამულეს საქციელმა მეტად ააღელვა გლეხები. დაუწყეს იმათაც ლანძღვა გაგარინს და ჯოხებს ესროდნენ. ერთმა გლეხმა რკინის ორ-თითით მიიმედ დასჭრა გაგარინი ფეხში. თავიც მიიმედ აქვს დაშავებული ნასროლი ჯოხით. გაგარინის სტუმარი და მისი ცოლი მსუბუქად დაშავდნენ. შემდეგ გლეხებმა დასწვეს ის სახლი, სადაც ჩერქეზები იდგნენ, და გაგარინის სახლში ფანჯარა ჩამტვირეს. ადგილობრივმა მთავრობამ გაზვიადებული დებეშები გაჰგზავნა რიაზანში, გლეხებმა ამბოხება მოახდინეს და ჯარები მოგვაშველეთო. რიაზანიდან წამოვიდა გუბერნიის უფროსი და ერთი ბატალიონი ჯარი. მხედრულის წესით, თოფების ცემით მიაღდა ბატალიონი საწყალ პატარა სოფელს. გლეხები მორჩილებით დაუხვდნენ იმათ. რამდენიმე კაცი დაატუსაღეს და დაბრუნდნენ რიაზანში. ყველა ჩერქეზები მოაშორეს გაგარინის მამულს.

\* \* გასულ 1902 წლის განმავლობაში ნიჟეგოროდის გუბერნიაში სასოფლო სასამართლოს 36 გლეხისათვის გადაუწყვეტია გაწყებლვა. ამათგან 4 გაუწყებლავთ, სხვებს კი სხვა სასჯელი შეუცვალეს.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ- ცნებებაზე.

ს ი ტ უ ვ ა,

არა ფუცვად ყოვლადვე არამედ იყავნ სიტყვა თქვენი. *სე, სე და არა, არა.* ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს.

როგორცა სჩანს ამ სიტყვებიდგან, მაცხოვარი ჩვენი გვიკრძალავს ფიცს. მართლაც რას ნიშნავს, რომ ყოველ ჩვენგანს პირზე აკერია ჩვენი შემქნელის სახელი და წარამარა წარმოსთქვამს, რათა მითი დაუმტკიცოს სხვას თვისი სიმართლე? განა არ შეიძლება კაცმა კაცი დაჯეროს ან „ჰო“ს, ან „არა“ს ტქმითა. საღმრთო წერილში არის ნათქმამი, თუ როგორი ძრწოლით, კრძალვით წარმოთქმენ ხოლმე ანგელოზები ღვთის სახელს. ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: ვიხილე უფალი მჯდომარე სიყდასის-ზედა მდასსა და აღმატებულსა და სერაფიმი სდგეს კანებს მისსა, და ღაღადებდეს მთუყვანსი მთუყვანის მიმართ და იტყვადეს: წმიდა ანს, წმიდა ანს, წმიდა ანს უფალი საბაო, სასესე ანს უფელი ქვეყანა დაღებთა მისითა. (6, 1—3). თუკი ანგელოზები ასე მოწიწებით წარმოსთქმენ ღვთის სახელს ჩვენ რისთვის არ უნდა ვებაძავდეთ მათ? ვინ უფრო დაახლოვებულნი ვართ ღმერთთან ჩვენ თუ ანგელოზები? რამოდენათაც ძირს ვდგევართ ჩვენ ანგელოზებზე, იმოდენათ მეტი შიში უნდა გვქონდეს ღვთისა. ჩვენ-კი ისე შეჩვეულნი ვართ „ღმერთმანი“ „ღმერთი ნუ გამიწყრება“ და „ისე ღმერთი მიშველის“ და სხვა და სხვა ამგვარი ფრაზების გამოთქმას, რომ ვერც-კი ვამჩნევთ მათ ლაპარაკის დროს. ძველი აღთქმის დროს ქვითა ჰქოლავდნენ, ვინც გაბედავდა ღვთის სახელის ხსენებას უბატოცემულათ შეურაცხებით. (ლუკ. 24, 16). იოანნე ოქროპირი ამბობს: „მსახურს არ შეუძლიან ხსენება თვისი ბატონის სახელისა, თუ საჭიროებამ

ძალი არ დაატანა; არ შეუძლიან ახსენოს უმიზეზოდ, ტყვილა უბრალოდ, ხოლო შენ ახსენებ სახელსა ანგელოსთა უფლისასა ყოველგან, თვინიერ საჭიროებისა რე თან დიდის დაუდევნელობით“. მრავალნი დიდებულნი მეცნიერნი (მაგ. ნიუტონი). ადგილობრდნენ ხოლმე ფეხზედ ანუ მოიხდიდნენ ქუდსა და ისე ახსენებდნენ ღმერთსა, როცა საჭირო იყო. მე კარვად მახსოვს რომ ჩვენშიაც, ქართველებში, ასეთივე ჩვეულება იყო. ძლიერ ერიდებოდნენ ფიცილით ლაპარაკს. ახლა კი რომ ვისმეს უთხრა, რად ახსენებ ღმერთს აგრე წარამარაო, გიპასუხებს: მარტოკა მე ხომ არ ფეციულობო, ასე იქცევთან სხვებიცო, მე ერთი ვარ და სხვანი ათასნიო. მაგრამ, განა ეს თავისთავის განმართლებაა? ცუდში კი არ უნდა წაბაძო კაცს, არამედ კარგში; ცოდვილთ რომ წაბაძო, განა ამით ცხონდები? სამაგიეროდ კიდევ მოიპოვებთან ისეთიც, რომლებიც ფიცს ძლიერ ერიდებიან; აი ამათ უნდა შეადარო თავი, რადგან მათთან შედარებით იქნები განსჯილი. სიბევრე ცოდვილიანთა ვერ დაიხსნის ვერც ერთ მათგანსა, ამბობს იოანნე ოქროპირი. ზოგი კიდევ იმით მართლულობს თავს, რომ შეჩვეული ვარო და რომ არ მინდოდეს, ძალაუნებურად წამომცდებო ხოლმეო, ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო. მართალია ჩვეულებას ძნელად დაანებებს კაცი თავს, მაგრამ, თუ ერთხელ მისცემ შენ თავს შრომას და გადაეჩვევი ფიცილს, მაშინ მეორე ჩვეულება—უფიცრობა დაგეკვებება, რომელსაც ადვილათ შეასრულებ ყოველთვის და ისე მიეჩვევი, რომ ათასი გთხოვონ არ დაიფიცებ. ხშირად უფრო საძნელოს ვასრულებთ, ვინც საადვილოს. მაგ. როდესაც ექიმი გვიკრძალავს რამოდენიმე ხნის განმავლობაში, ან და სრულებითაც, მაგარი სასმელების ხმარებას, მიღებას, თუმცა შეჩვეული კაცისათვის ეს ძნელი შესასრულებელია, მაგრამ ძალდატანებით თავს ვანებებთ ხოლმე ძვალში და რბილში გამჯდარ ცუდ მიდრეკილებას. ვინც თამბაქოს ეწევა, მისთვის ძლიერ საძნელოა აკვეთოს, თავი დაანებოს ამ ჩვეულებას, მაგრამ, თუ ექიმი დაუშლის, ეცდება გადაეჩვიოს. თუ-კი აღამიანის, — ექიმის დარიგებას ყურს ვუგდებთ და ვცდილობთ მისი რჩევის ასრულებას, ნუ თუ ზეციური სულთა რე ხორცთა მკურნალის დარიგება ჩვენთვის სავალდებულო არ უნდა იყოს?! რომელი უფრო სასარგებლოა ჩვენთვის: კაცის დარიგება, თუ



ღვთისა? კაცი ხშირად ცდებდა: გონია, როცა არი-  
გებს სხვას, ჭეშმარიტ გზაზე აყენებს მას, მაგრამ  
სარგებლობის მაგიერ მის ღარიგებას ხშირად ვნება  
მოაქვს.

ყოველად მცოდნე—მეცნიერი კაცი დაგვარი-  
გებს და რასმეს გვასწავლის, უნდა იცოდნე, რომ  
ეს ჩვენთვის უსათუოდ სასარგებლო იქნება. თუკი  
ჩვენ როცა ავად გავხდებით, მაშინვე მივმართავთ  
ექიმს, რაც უნდა დაგვჯღღეს შორიდგანაც მოგვყავს,  
რაც უნდა ძვირი წამალი გამოგვიწეროს, არასფერს  
ვზოგავთ, ხშირად ვალში-ვახშიც ვარდებით, რომ  
ეს წამალი ვიყიდოთ, სულის განსაკურნადად, რატომ  
არ უნდა ვცდილობდეთ ავასრულოდ ღვთისგან  
მოცემული მცნებანი! რომელი უფრო დასაფასებე-  
ლია: სული, თუ ხორცი, უკვდავი, თუ მომაკვდავი?  
მივირს, როდესაც მაგონდება, რომ ამ ოცის, ოც-  
და-ათის წლის წინად ერთმანეთს უშლიდნენ ღვთის  
სახელის ხსენებას, დედ-მამა შვილებს, ქმარი ცოლს  
და ცოლი ქმარს ნებას არ აძლევდნენ რაზედმე  
დაეფიცნათ. ამისთვისაც არ იყო ფიცის მიღება  
განშირებული უწინ ისე, როგორც ახლა ჩვენ დრო-  
შია. ახლა-კი არამც თუ არ უშლით ერთმანეთს,  
არამედ ძალას ვატანთ, რომ დაიფიცონ. რას ჩავდი-  
ვართ, ჩვენ თვითონ არ გვესმის. მე არ შევვებები  
იმ წეს-წყობილებას რომელიც არის შემოღებული  
სახელმწიფოში ფიცის მიღების შესახებ. როგორც  
სრულდება იგი ან მეფის ტახტზე ასვლის, ან რო-  
მელიმე თანამდებობის მიღების დროს, ისე უნდა  
დარჩეს. მე მხოლოდ მაქვს სახეში ის თავხედობა,  
რომელსაც იჩენს სულ უბრალო, კერძო საქმეების  
გარჩევის დროს. ერთი გროშის გულისათვის ერთი  
მეორეს მიათრევს და ჯვარზე და სახარებაზე აფი-  
ცებს. აიღე ძმაო ჩემო საყვარელო ეს წმ. წიგნი,  
გადაშალე და წაიკითხე რა სწერია: „არა ფუცვად  
ყოველთავე, ნუც ცასა, რამეთუ საყდარი არს  
ღმრთისა, ნუცა ქვეყანასა, რამეთუ კვარცხლბეკი  
არს ფერხთა მისთა, ნუცა იერუსალიმსა, რამეთუ  
ქალაქი არს მეუფისა ღმრთის, ნუცა თავსა შენსა,  
ჭეუცავ, რამეთუ ვერ ძალგიძს ერთისა თმისა გან-  
სპეტაკებად, გინა გაშავებად, არამედ იყავნ სიტყვა  
თქვენი: *ცე, ცე და არა, არა.* ხოლო უმეტესი  
ამათსა უკეთურისაგან არს“. აი რას გიბრძანებს  
კანონი, შენ-კი იმავე კანონზე იფიცებ; შენ გიბრძა-  
ნებს მაცხოვარი, კანონმდებელი, ნუ იფიცებო, შენ

კი ისევე ის კანონმდებელი მოგყავს მოწმეთ. რა  
უჭკუობაა! პატარა ბავშვს, რომ რამე დაუშალოს  
დედამ ან მამამ, გაუგონებს, შენ-კი გაიზარდე და  
დაკარგე შიშიც და ხათრიც, არამც-თუ დედ-მამისა,  
არამედ ზეციური მამისაც-კი. ეს კიდევ არაფერი.  
ჩვენში ახლა გავრცელდა ერთი მეტად შემადრწუნე-  
ბელი ჩვეულება. როცა ვინმე უჩივის სხვას, როგორც  
მოპასუხის, ისე მომჩინების ჩვენებას მაშინ დასდებს  
ფასს, მაშინ დაიჯერებს, როდესაც ისინი დაიფიცე-  
ბენ ჯვარზედ და სახარებაზე კი არა, არამედ რო-  
მელიმე სასწაულთ მოქმედ ხატზე და ისიც ეკაღე-  
სიაში. სჩანს ხალხის თვალში ჯვარსა და და სახა-  
რებას დაკარგვია მნიშვნელობა. ეს რისი ბრალია?  
მე მგონია, რამოდენათაც იშვიათად მიმართვენ ფიცს,  
იმოდენად უფრო დაფასდება იგი. მე ვიცი ერთი  
კაცი, რომელიც ამ ათი წლის წინად ძლიერს მიიყვანეს  
ჯვარზე და სახარებაზე დასაფიცებლად. სხვა-და-  
სხვა შემთხვევების გამო მას აქეთ თურმე მან უკა-  
ნასკნელი ოცჯერ მაინც მიიღო ფიცი და ისე  
შეეჩვია, რომ ახლა სულ აღარ ეშინიან; თვითონ  
ამბობს, მე მგონია ფიცს არავითარი მნიშვნელობა  
არ უნდა ჰქონდესო. თუ ხალხის სიტყვას აყვა მო-  
სამართლე და მართლა სასწაულთ მომქმედ ხატზე  
აფიცებია მოწამები, პირველად შიში ექნებათ, მაგ-  
რამ ბოლოს, რამდენიმე ხნის შემდეგ, იგივე შეხე-  
დულობა ექნებათ ამ ნაირ ფიცზე, როგორიც ჯვარის  
და სახარების წინაშე მიღებულ ფიცზე, რაც მეტად  
სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ნუ დაივიწყ-  
ებ ძმაო ჩემო საყვარელო, რომ მართლის მთქმელი  
კაცი უფიცრადაც სიმართლეს გიჩვენებს, ტყუილის  
მთქმელი ფიცს ქვეშაც იცრუებს. იქნება სთქვა, მე  
მაშინ მშვიდად ვიქნებო, როცა შემომამეცავსო!  
არა უფრო გაშფოთდები, შინ როცა დაბრუნდები,  
ნანობას დაიწყებ, სვინდისი დაგიწყებს მხილებას,  
ტყუილ უბრალოდ რისთვის დავაფიცეო. როდესაც  
არ დააფიცებ, შინ მოსვლის დროს კმაყოფილი ხარ  
შენ შენი თავისა, რომ არც შენ შეცოდე და არც  
სხვა ჩააგდე ცოდვაში. „შენ რომ ვინმემ გაგაჯავროს,  
ამბობს იოანე ოქროპირი,—და მოინდომო მისი  
ცემა სამაგიეროს გადახდა, თუ მას ვინმე ჰყავს  
მფარველათ, უსათუოდ ასე ეტყვი: მე შენ ამას  
არასფერის გულისათვის არ შეგარჩენდი, მაგრამ რა  
ვუყო, როდესაც შენი მფარველის ხათრი მაქვს.  
აგრეთვე მოიქეცი ძმაო ჩემო საყვარელო, როდესაც

გინდა ვინმე დააფიციო, „რა უნდა გიყო, როდესაც ღმერთმა გვიბრძანა. არავინ დააფიციოთო, თორემ მე შენ უფიცრად არ ვაგვიშვებდი“ აი სიტყვები, რომელთა წარმოთქმა შექტერის ამ დროს. ეს დიდი პატივისცემაა კანონმდებლისადმი და როდესაც სხვა გაიგონებს შენ სიტყვებს, ჩაუფიქრდება თავის-თავს და მიხვდება, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა ჰქონია ფიცის მიღებას. და თუ-კი სხვის დაფიცებას მოერიდება, მით უმეტესად შენ არ დაიფიცებ. ღმერთი-კი სამაგიეროდ დიდად დაგაჯილდოებს, მისგან ამ ნაირ ჯილდოს მიიღებ, რომელსაც ვერაფერი ოქროთი ვერ მოისყიდი, შენ-კი შეიძლება სხვაც დააფიციო და შენც დაიფიცო ორი-სამი მანეთის გულისათვის“.

განა შეიძლება კაცმა სულ არ დაიფიცოსო, მკითხავ შენ ჩემო ძმაო? რატომ არ შეიძლება. თუ შესაძლებელი არ იყოს, არც კი გვიბრძანებდა იესო ქრისტე. როდესაც გვიშლის ფიცს, მაცხოვარს კარგათ ესმის, თუ როგორი მავნებელია ეს ჩვენი საქციელი, ავასრულებთ (ზოგიერთჯერ) ჩვენ-ჩვენ ფიცს, თუ დავარღვევთ მას. როდესაც კაცი ფიცს უწოდებს, ის თავის-თავს ბორკავს. ხშირად ხდება კაცი-კაცს აწყენიებს, გაჯავრებს, გაბრაზებულიც დაემუქრება, დაიფიცებს ასე-და-ასე დამემართოს, ღმერთმა პირში სული ნუ შემარჩინოს, თუ მე შენ ეს შეურაცყოფა შეგარჩინოვო და სამაგიერო არ გადაგიხადოვო. ამას შემდეგ ათასი მოისურვოს შერიგება, პატივება ვერასგზით ვერ მოახერხებს; თუმცა არ უნდა შეასრულოს, მაგრამ ვერ ბედავს (სიტყვის) ფიცის გატებას: რაღაი დავიფიცე, უსათუოდ უნდა ავასრულოვო; არ დამეფიცა კარგი იყოვო და ახლა მეტი არღარა დამრჩენია-რა, უსათუოდ უნდა ავასრულოვო. როდესაც იოანე ნათლის-მცემელმა გაჯავრა მეფე იროდი და მისი მეუღლე, თუმცა წინასწარმეტყველი საპრობილეში იყო ჩასმული, მაგრამ სიკვდილით კი არ იყო დასჯილი; ვერ გაბედეს; ეს გაბედულობა მიეცა მეფეს, როცა მან შეფიცა ქალს: „რასაცა მთხოვ, უსათუოდ ავისრულებო“. თუმცა საძნელო იყო მისი ქალის თხოვნის ასრულება, მაგრამ ფიცს ველარ გადუხვია და თავი მოაკვეთია ამ დიდი პატიოსნის წინასწარმეტყველის, წინამორბედისა და მართლისა კაცისა. მსაჯულ იეფთაიმ ღმერთსა შეფიცა (აღუთქვა): თუ შემეწევი და დამამარცხებინებ მტერს, ვინც პირველად შემომეგე-

ბება სახლში დაბრუნების დროს, მსხვერპლად შეგწირავო. გაიმარჯვა მსაჯულმა და დაბრუნდა გახარებული, მაგრამ ეს სიხარული მალე მწუხარებად შეეცვალა. მას მიეგება ერთად-ერთი მისი ქალიშვილი. რა უნდა ექნა, ფიცი ვერ გასტება, აიღო და შესწირა მსხვერპლათ ადამიანი და ამით ჩაიღინა კაცის მკვლელობა. უნდოდა ღვთისათვის ესამოვნებია და ის კი არა, უარესად შესცოდა. ხშირად ორი ადამიანი ერთმანეთს შეფიცვენ: ერთმანეთს არ ვუმტყუნოთო, ყოველ საქმეში, კარგია თუ ცუდი, ერთმანეთს მხარი დაუჭიროთო. ვსთქვათ ერთ-ერთს მათგანს ვინმემ აწყენია, გაჯავრებულმა მოინდომა სამაგიეროს გადახდა, შეიძლება სრულებითაც ამ წუთისოფლიდგან გამოსალმება; შეფიცულმა ამხანაგმა, თუ არ უნდა ფიცის გატება, უსათუოდ მხარი უნდა დაუჭიროს ხელი უნდა შეუწყოს მას და მით სხვის სისხლში გაისვაროს. რა კაცის კვლა რა ქურდობა, რა ქალის მოტაცება! ყოველ შემთხვევაში, ყოველ ბოროტ-მოქმედებაში ფიცი ძალას ატანს მხარი დაუჭიროს ამხანაგმა ამხანაგს და არ უღალატოს. კარგია თუ ეს ფიცი კარგ, კეთილ საქმეში მოხდება! მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, უმეტესად ბოროტი სული სარგებლობს ამ ჩვენი ქცევით, ჩვეულებით. არ შეასრულებ და გასტებ ფიცს, მით კიდევ უარესად შესცოდავ ღმერთს. ხშირად მოხდება, მამა შვილს დაემუქრება, დაიფიცებს, ასე და ასე მიყოს ღმერთმა, თუ მე შენ არ გაგლახოვო, მაგრამ ამავ დროს გამოეხარჩლება შვილს დედა ზ თავის მხრივაც (დაიფიცებს) ქმარს ფიცით ეტყვის, მე შენ მაგას არ გავალახვიებო. რომელმაც უნდა შეასრულოს ფიცი, ერთი მათგანი იძულებული შეიქნება გასტებოს იგი. ამ შემთხვევაში ორნივე დამნაშავენი გამოვლენ: ერთი ძალას ატანს მეორეს დაარღვიოს ფიცი. ან კიდევ, ვსთქვათ, მასწავლებელი ფიცს ქვეშ ეუბნება შეგირდს: მე შენ არ გავიშვებ შინ, სანამ ვაკვეთილს აქ არ დაისწავლიო. როგორც კი მდგომარეობაში ჩავარდება მასწავლებელი რომ მოწაფემ ვერ მოასწროს იმ დღეს ვაკვეთილის დასწავლა! ძალა-უნებურად უნდა გასტებოს ფიცი და შეგირდი გაუშვას შინ. მაგრამ როგორი ცუდი (შედევნი) გავლენა ექნება ამ ფიცის გატებას მოწაფეზე. ვსთქვათ, ჯარის უფროსმა ომის დაწყების წინ გამოუცხადა ჯარს და მასთან დაიფიცა, სანამ ომს არ გავათავებთ, არ დაამარცხებთ მტერს, მანამ

დასვენება არ გელირსებათო. მოხდა ისე, რომ ომი არ გათავდა იმ დღეს, ჯარი უსმელ-უქმელს, დაუძღურებული, ღამე ნათვეი მეორე დღეს შეებრძოლა დასვენებულ მტერს, ხომ სულ ერთინად გაჟღეტილ იქმნა!? რომ 'ეს უბედურობა აიცილოს თავი-დგან ჯარის უფროსი, სარდალი იძულებული შეიქნება გატეხოს თავისი ფიცი და მხედარნი დასვენოს, სასმელ-საქმელით გააღონიეროს, ძალა შეაკრებიოს. ფიცის გატეხა, დარღვევა-კი, როგორც მოგვითხრობს, ძმაო ჩემო საყვარელო, საღმრთო წერილი, უსათუოდ უნდა დაისაჯოს. მეფე სედეკიამ დაარღვია მის მიერ მიცემული ფიცი ერთგულად მსახურებისა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის წინაშე და გადავიდა ეგვიპტის მეფის მხარეს, რომ მასთან ერთად გამხედრებულიყო ნაბუქოდონოსორის წინააღმდეგ. ამისათვის სედეკია იყო მხილებულ ღვთისაგან წინასწარმეტყველის ეზეკილის მიერ ესრეთ: „ფიცი ჩემი, რომელი შეურაცჰყო, მე მივსცე იგი თავისა მიმართ მისისა და გადავფინო მასზედა ზადე ჩემი და მოსრულდეს გარემო მოდგომასა შინა მისსა და შთავაწიო იგი ბაბილონად და განვისაჯო მასთანა მუნ სიცრუვისათვის მისისა, რომელი ურვა ჩემდამო» (ეზ. 17, 12). მართლაც ნაბუქოდონოსორმა მალე აიღო იერუსალიმი, შეიპყრეს სედეკია და მოიყვანეს იგი და ძენი მისნი ბაბილონის მეფესთან. ძენი სედეკიასნი დაკლულ იყვნენ წინაშე თვალთა მამისა, უკანასკნელს-კი თვალეზი გამოთხარეს, წარიყვანეს ბაბილონს ჭ ჩასვეს საპყრობილეთში, სადაც გარდაიცვალა. (4, მეფ. 25, 5-7). „უფალო ვინ დაეშენოს კარავსა შენსა?“ ჰკითხავს წმ. წინასწარმეტყველი და მეფე დავითი და სხვათა შორის ამბობს: „რომელი ყფუცოს და არა ეცროუს“. (ფს. ვ. 14, 4). ვისაც აქვს, უღვივის გულში ნაპერწკალი მაინც კეთილ მოწიწებისა ღვთისა მიმართ, იმისათვის დარღვევა ფიცისა საშინელი საქმეა. წმ. ბასილი დიდი არ ამართლებს იმათაც კი, ვისაც უნებლიეთ და ძალდატანებით დაურღვევიათ ფიცი. უკეთუ ფიცი დამტკიცებულია სახელითა ღვთისათა, ქრისტიანე ვალდებულია მოითმინოს, დაიტანჯოს ჭეშმარიტებისათვის და ფიცი არ გასტეხოს (კან. 82). თუკი ფიცის გამტეხი სასტიკად ისჯება, მით უმეტესად უნდა დაისაჯოს ცრუ მოფიცარი. ვინც სიცრუეზე დაიფიცებს უფრო დამნაშავეთ უნდა ჩაითვალოს, ვინემ ვინც მართალზე დაიფიცებს და მერმე

ამ ფიცს გასტეხს, რადგან ვინც სიცრუეზე იფიცებს, განზრახ ჩადის ამ სისაძაღლეს, წინ-და-წინვე იცის, რომ მართალი არ არის, რასაცა ამბობს, გრძნობს კარგათ, რომ სტყუის და ვინც მართალზე დაიფიცებს და მერმე გასტეხს ამ ფიცს, შეიძლება თვითონ ამაში იმოღენად დამნაშავე არ იქმნეს, როგორც სხვა-და-სხვა გარემოებანი, რომელნიც აიძულებენ მას ფიცის გატეხას. როდესაც ტყუილზე დაიფიცებს კაცი, სჩანს მას არაფრად მიაჩნია ფიცი, ღვთის შიში მას გულში აღარ აქვს და ისე დაბეჯითებით ამბობს, ვითომც არც-კი არაფერი მოელოდეს მას ამისათვის; იმას კი აღარა ფიქრობს, რომ „არ განწმიდოს უფალმან იგი, რომელმან მოიღოს სახელი უფლისა ამავესა ზედა“. „ფუცვად სახელითა წმიდითა ნუ ეჩვევი“. გვარიგებს, ძმაო ჩემო საყვარელო, ისო ზირაქი, რამეთუ ვითარცა მონა განკითხული მარადის წყლულებათაგან არ მოაკლდების, ეგრეთვე დამფუცავი (კუდად) სახელითა წმიდითა მარადის ცოდვათაგან არ განიწმინდეს.. უკეთუ კუდად იფიცა (კაცმა) არ განმარილდეს, რომელი აღივსოს სახლი მისი დაცემით (23, 10, 13). „მოვიქვეც და იხილეს თვალთა ჩემთა, ამბობს ზაქარია წინასწარმეტყველი, მანგალი მფრინვალე და თქვა უფალმან, რასა ხედავ შენ და ვთქუ, მე ვხედავ მანგალსა მფრინვალესა, სიგრძით წყრათა ოცთასა და სთქვა უფალმან, ყოვლისა მპყრობელმან, შევიდეს იგი სახიდ მფუცავსა სახელსა ჩემსა ცრუსა ზედა და დაარღვიოს საშუალ სახლისა მისისა და მოასრულოს (დაანგრიოს) იგი და ძელნი მისნი და მოასრულნეს ქვანი მისნი“. (5, 1—4). აი რა სასტიკად სჯის ცრუ მათიცარს ღმერთი! მარტოკა იმას პირადათ კი არა, მთელ მის სახლობასაც კი სჯის; ასე გაშინჯე სახლკარსაც კი ანადგურებს. განა ეს უსამართლობა არ არის? რისთვის უნდა იქნეს დასჯილი მთელი ოჯახობა, რა შუაშია სახლკარი? სხვების თანამედროვეთა და შთამომავლობათა საგრძნობელად. მარტოკა ცრუ მოფიცარი რომ დაისაჯოს, აგრე რიგად არ მიაქცევენ ყურადღებას, მაგრამ როდესაც მთელი ოჯახობა, სახლკარი იყლიტება, ნადგურდება, ყველასათვის საგრძნობელად ხდება, ყველა ყურადღებას აქცევს, ყველას შეეშინდება და არამც თუ სიცრუეზე, არამედ სიმართლეზედაც ვეღარ გაბედავენ ფიცის მიღებას. სოლომომორის მცხოვრებნი როცა დასაჯა ღმერთმა, თვით ქალაქების შენობები აღვი-



ლითურთ დასწვა ცეცხლითა, რათა ის ზღვა, რომელიც არის ამ ქალაქების ადგილას, საშვილიშვილოთ, სანამ კაცობრიობა იქნება ქვეყნიერებაზე, ყველას თვალ-საზინოდ უმტკიცებდეს, თუ როგორ სჯის ღმერთი იმ ბიწიერებისათვის რომლითაც გახრწნილნი იყვნენ სოლომონოვნი. თუ კაცი დაუკვირდება ახლაც არა ერთი და ორი მაგალითია ჩვენ ცხოვრებაში ღვთისაგან დასჯილთა ზემოყვანილი მცნების დარღვევისათვის, ე. ი. სიცრუეზე ფიცის მიღებისათვის. ნუ მისცემ მაშ, ძმაო ჩემო საყვარელო, მართლ მსაჯულისა ღმრთისასა მრისხანებასა; ღმერთსა სძულს ცრუ ფიცი მისი წმიდა სახელითა; ნუ დაივიწყებ, რომ ყოველი ცრუ ფიცით მისგან შურის ძიებულ იქმნების (ზაქ. 4, 5). ყოვლად მეცნიერი ღმერთი ჰხედავს თვით დაფარულთა გულის ზრახვათა ჩვენთა, და როგორც მართლმსაჯული სასტიკად მოჰკითხავს გმობისათვის მის წმ. სახელისა. ანანია და საპფირაც ფიქრობდნენ ვერავინ გაგვიგებსო, ეცრუვნენ სულსა წმიდასა, მოატყუეს წმიდა მოციქულები, მაგრამ მეტყველად დაცემულ იყვნენ სიკვდილითა. იყოს სიტყვა შენი *ღე, ღე* და არა, არა და თუ მაინც-და მაინც შეგხვდეს ფიცის მიღება, ყოველთვის იქონიე სახეში შემდეგი სიტყვები: „არა ფუცვიდე სახელითა ჩემითა ნაცილად და არცა შეაგინო სახელი ღმრთისა შენისა, მე ვარ უფალი ღმერთი შენი“. ამინ.

დკკ. მარკ. ტემალაძე.

**რედაქციის პასუხი.**

ჩვენ შეითხველებს. საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო დამზადებულია. დაბარებისა თანავე ვინც ფულს გამოგზავნის ის თავისუფალია იმ ხარჯისაგან რაც მიდის ფას დადებით გაგზავნისათვის.

მ. მ. გ. ჩვენ პეტერბურღში ვიქნებით 25—31 აგვისტოს რიცხვებში და იქ შეგიძლიათ მოიწეროთ წერილი. წერილი გამოგზავნეთ ფოსტაში მოთხოვნამდის.

**ბანსხალბანი.**

მიიღება ხელის-მოწერა 1903 წლისათვის ოქტომბრულ გამოცემათა მართულს

**„მწეემს“-ზე**

დ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწეემსი» 3 მ. | 6 თვით «მწეემსი» 2 მ.  
 — „რუსული „ 3 მ. | — „რუსული „ 2 მ.  
 — „ორივე გამოცემა „ 5 მ. | — „ორივე გამოცემა „ 3 მ.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბავერიალსაში რედაქციაში, ქუთაისში ბ. ნ. ესტატე ღამბაშიძესთან, თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მ. ლაზიაში, ბ. შიო ქუჩუკა შვილთან. **ახალსენაკში** — ბლალოჩინ ძამა არ. კალანდარი შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ს ე თ ა დ. რედაქცია იმყოფება დ. ვეარიალსაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: ВЪ Квирілы, въ редакцію газеты и журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწეემსი“-სა, რომელიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ქურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.



# „გეორგია“

საზაფრო—საკომისიონერო ამხანაგობა  
კავკასიაში

აცნობებს ჰატევიცემულ საზოგადოებას, რომ ამხანაგობამ კახსნა კანტორა ბათუმში, ოკლობეიოს ქუჩაზე—და კისრულობს ეოველ-გვარ სავაჭრო საკომისიონერო საქმეებს,— აკენტობას, წარმომადგენლობას და სხვა. გამოუწერს მსურველთ რუსეთისა და სასლვარს კარეთის ფირმა—ქარხნებისაგან: სამეურნეო იარაღებს, ფარფორის ჭურჭლეულობას, აბრეშუმის თესლს, კრამიტს, ზეითუნისა და სხვა ზეთებს, მანუფაქტურის შალეულობას, შაბი-აბანს, სანთლის ცვილს, თოკებს და სხვა.

კუგზავნის სასლვარს კარეთ ღ რუსეთში: მარგანეცს, აბზეცს, ბარიტრს, სიმინდს, თუთუნს, ჰარკს ბამბას, ნიკვისისა, მუხისა, და ბზის ხეებს, მატულს, კვერცხს და სხვა.

ათავისუფლებს ადგილობრივ დამოქნებში ეოველ გვარ საქონელს, ინდის სადამოქნო კადასახადებს, ჰგზავნის ამ საქონელს კუთვნილებებისადმი და სხვა.

ეოველსევე ცნობებს, ჩვენი ამხანაგობის საჭირო აღსნას და ჩვენს ჰირობებს დაუყონებლივ მივაწოდებთ მსურველთ ერთ 7 კაზ. მარკად.

ჩვენისა და სხვა ქვეყნების საფუძვლიანი ცოდნა და დიდი კავშირი სხვა-და-სხვა ფირმა-ქარხნებთან გვამღვეს სამუალებას: სწრაფად, წესიერად, ხელმისაწვდენ ჰირობით ავასრულოთ ეოველგვარი მონდიბილებანი.

ადრესი წერილისა: ამხანაგობა „გეორგია“.  
— დეპეშის — „გეორგია“ —  
ბათუმში  
მმართველი ამხანაგობისა იასე რაქველი—მეხუზლა.

## ქ ა ლ ე ბ ი ს პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი ა ელენე ბახტაძისა

# დ. ხ ო ნ შ ი

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიიღება ეველ კლასებში დაიწება 20 აკვისტოდამ და გაკრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოკზავნონ ჰროგიმნაზიის უფროსის—**ელენე ბახტაძის** სახელობაზე

სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ ისე ჰროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთი წელიწადში.

3—1

## ქუთაისის სათავად-აზნაშრო სასწავლოგელი ა ც ხ ა დ ე ბ ს

რომ მიმდინარე წლის ენკენისთვის 40 თავისუფალი ვაკანსია არის ჰირველ განეოფილებადმი, რომელშიდაც მიიღებიან მუიდი და რვა (7-8) წლის ემარწვილები. დანარჩენ განეოფილებებში და ჰროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიზოვება.

თხოვნების მიღება გაკრძელდება ოცდახუთ მარიაძობის თვემდის; თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს წლოვანების, აზნაურობის და ევავილის აცრის მოწმობები.

ემაწვილების მიღება დანიმნულია 27 მარიაძობის თვეს. ხელმეორედ გამოცდა, რომელიც მაისში დაენიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 მარიაძობის თვეს.

სწავლა დაიწება 1 ენკენისთვის.

3—3



# ქუთაისში

ს. მ. პ. თოფურიას

## ს ა ა ვ ა დ მ უ რ უ რ ი,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის ჰრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახი-რურგო, დედათა და თვალთა ავადმყოფობათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადაძღების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულა.

წ.

### უვირილაუი

გალობის მასწავლებელი სერგეი ჯინჭველაძეილი ასწავლის ქართულს საეკლესიო და საერო გალობას ნოტების საშუალებით. თანაც ამზადებს მოსწავლეებს საქალაქო სასწავლებლისათვის.

ბინა: ვასილ მაჭავარიანის სახლი—  
ზედა ხიდის პირდაპირ.


ამით ვაუწყებ პატივცემულ საერო და სამღვდლო წოდებას, რომ მე გავხსენი დაბავერილაში სადღურგლო კანკელისა და იკონოსტასების დასამზადებლად. კანკელებს, ცალკე სამუთუეო კარებსაც ვიდებთ ძლიერ იაფად. იმედი გვაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება და სამღვდლოება ჩვენი ნაკეთებით არ დარჩება უკმაყოფილო.

იკონოსტასის მკეთებელი ტ. ჯიშკარიანი.

# მუხანიარია

## საუბოგანო და სასარგებლო პურჩმპთ ქალბატონებს და ქალიშვილებს...

წმიდა ოქროსაჯან 56 ჰობისა



1) პინძისტავი ოქროსი, რომელშიაცა მოწყობილია ხელოვნური ბრილიანტები, რომელნიც მშვენიერად მღველვარებენ და გარშემოვლებული აქვს ლალს, ზურმუხტს, ფირუხს და იაგუნდს (გამორჩევისამებრ შემკვეთთა).

2) რწყვილი დიდი მშვენიერი საუბრეაბი ოქროსი ისეთივე ხელოვნებისა.

3) ბაჰედი ოქროსი იმავე ფასონისა. გაიზავენება ფას დადებით და უბოლ რბ მანეთად.

ესეები ვევა და სამაჯური იმავე ფასონისა

### ● თ უ თ ხ მ ე ტ მ ა ნ ე თ ა დ ●

ადრესი: საეპრო სახლი ი. გ. შამისსო და ამხ. ოღდასუი.

8—2

# ახალი წიგნი

Какъ улучшить Кавказскую народную школу  
(როგორ უნდა აღსდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა)

იაკობ გოგებაშვილისა.

ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისის მაღაზიებში და სხვაგანაც.

ფასი ექვსი შაური (30 კაპ.)

ორდაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 25 Августа 1903г.

Типог. редакціи журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.